პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 229 (10315) | სამშაბათი, 27 სექტემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ბარქსის სახ. სახ. საბჭოთა ბიბლიოთეკა — საჯარო ბიბლიოთეკა — თბილისი

დღეს ნომერში:

სრულიად საკავშირო კონკურსი საუკეთესო კინოსცენარებზე (1-ლი გვერდი).

ტანკისტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები (1-ლი გვერდი).

მ. ვარდოსანიძე. — მთავარი პარტიული ბიბლიოთეკის მუშაობაში (მე-2 გვერდი).

მ. ხეთაგური. — მივიწყებული კოლმეურნეობა (მე-2 გვერდი).

ვ. ჩალაძე. — რუსთავის კომუნისტები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).

„ბულგანინის მიერ ინსპექციის ამერიკული გეგმის კრიტიკას ლონდონში მოწონებით შეხვდნენ“ (მე-3 გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ნ. ა. ბულგანინის წერილს პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი (მე-3 გვერდი).

დავით გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავის წინადღეებში (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესიაზე (მე-4 გვერდი).

ვ. მ. მოლოტოვმა სადილი გამართა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის დელეგაციების პატივსაცემად (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებით სოფლად, საქალაქო და რაიონული პარტიული კონფერენციები და პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩატარდება 1955 წლის ოქტომბერ-დეკემბერში.

პარტიული კონფერენციები და საანგარიშო-საარჩევნო კრებები, რომლებიც წინ უძღვიან საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობას, ჩატარდება მშრომელთა უმაგალითო პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში, იმ შესანიშნავ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებით ემზადება სკკპ XX ყრილობის დირსეულად შეხვედრისათვის.

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში მოიწყობა იმის შემოწმების ნიშნით, თუ როგორ ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ უკანასკნელ ხანებში მიღებული გადაწყვეტილებები.

პარტიული ორგანოების პერიოდული ანგარიშგება-არჩევნები შინაპარტიული დემოკრატიის ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნაა.

ცნობილია, თუ როგორ დიდია პარტიული კრების მაორგანიზებელი და დამრაზმავი როლი, როცა მის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობენ პარტიული მასები. საჭიროა კომუნისტებს რამდენიმე დღით ადრე გავაცნოთ კრების დღის წესრიგი, მოწვევის დრო და ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში საანგარიშო-საარჩევნო კრების მომზადებას აშკარად ფორმალურად მიუდგნენ: წინასწარ შეადგინეს ორატორთა სიები და განსაზღვრეს, თუ ვინ რაზე ილაპარაკებდა. კრების მომზადების ასეთი მავნე პრაქტიკა უთუოდ დასაგმობი და უკუსაგდებია.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან, პირველადი პარტიული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით, გულდასმით, მოფიქრებულად მოამზადონ პარტიული კონფერენციები და საანგარიშო-საარჩევნო კრებები, მტკიცედ დაიცვან ანგარიშგება-არჩევნების ჩატარების კალენდარული გეგმა. გეგმა ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ პარტიული კომიტეტების მდივნებს საშუალება ჰქონდეთ რაც შეიძლება მეტ საანგარიშო-საარჩევნო კრებას დაესწრონ. პარტიული კრების მაღალ დონეზე ჩატარება დიდად არის დამოკიდებული საანგარიშო მოხსენებაზე, რომელშიც შეჯამებულია გაწეული საქმიანობის შედეგები, გაკეთებულია მდგომარეობის ღრმა ანალიზი, მოცემულია კრიტიკული შენიშვნები და ჩამოყალიბებულია მომავალი მუშაობის ამოცანები. იგი ერთმა კაცმა კი არ უნდა შეადგინოს, როგორც ეს ზოგჯერ ხდება, არამედ პარტიული ორგანოს ყველა წევრის კოლექტიური შემოქმედების ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს. სწორედ ასეთი მოხსენება მისცემს პარტიულ კონფერენციასა და საანგარიშო-საარჩევნო კრებას სწორ მიმართულებას, გადააქცევს მათ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართო ტრიბუნად.

სამრეწველო, სატრანსპორტო და სამშენებლო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ტექნიკური პროგრესისა და წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის საკითხებზე, იმსჯელონ ზამთრის პირობებში მრეწველობისა და ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობის ლონისძიებებზე.

სოფლის კომუნისტები მოწოდებული არიან ფართო მსჯელობის საგნად გახადონ ის, თუ როგორ ხორციელდება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებანი საკოლმეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის შესახებ, გაბედულად გამოამჟღავნონ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ნაკლოვანი მხარეები, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მომავალ წელს უხვი მოსავლის მისაღებად.

დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების, შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და საბჭოთა დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციების წინაშე. კომუნისტებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე უნდა დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში, შემოქმედებითს ორგანიზაციებში და საბჭოთა დაწესებულებებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ასამაღლებლად.

შინაპარტიული და იდეოლოგიური მუშაობის საკითხები პარტიული კონფერენციებისა და საანგარიშო-საარჩევნო კრებების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის გაუმჯობესება, ჩვენი კადრების, ყველა კომუნისტის მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღება პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური საზრუნავია. აუცილებელია პარტიულ კრებებზე ფართოდ მოეწყოს პოლიტსკოლების, წრეებისა და თეორიული სემინარების მუშაობის, ლექციური პროპაგანდის, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი დახმარებისა და კონტროლის გაწევის საკითხების განხილვა.

შინაპარტიული დემოკრატია პარტიის მთელი მოღვაწეობის საფუძველი, მისი შინაგანი ცხოვრების ურყევი წესია. სწორედ ამიტომ არის, რომ თვითეული კომუნისტი მთელი პირდაპირობით აშკარავნებს პარტიული ორგანოს მუშაობის ნაკლოვანებებს, შემოაქვს საქმიანი შენიშვნები და წინადადებანი. საჭიროა კომუნისტთა ამ შენიშვნებმა და წინადადებებმა სათანადო გამოხატულება ჰპოვონ პარტიული კონფერენციებისა და საანგარიშო-საარჩევნო კრებების გადაწყვეტილებებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ასე როდი ხდება. არის შემთხვევები, როცა ჯეროვნად არ უგდებენ ყურს კომუნისტთა ხმას, არ ზრუნავენ პრაქტიკულ წინადადებათა შეგროვებაზე და ამის გამო არაკონკრეტულ, ფორმალურ გადაწყვეტილებებს იღებენ.

ანგარიშგებისა და არჩევითობის ლენინური პრინციპი უზრუნველყოფს კომუნისტების აქტიურ მონაწილეობას პარტიული ორგანოების არჩევაში, საშუალებას აძლევს მათ ამ ორგანოების შემადგენლობაში დაასახელონ და აირჩიონ ისინი, ვინც პარტიული მასების ნდობას იმსახურებს, ხოლო შეცვალონ ისინი, ვინც თავისი საქმიანობით ვერ ამართლებს პარტიული ხელმძღვანელისათვის წაყენებულ მაღალ მოთხოვნებს. შინაპარტიული დემოკრატია კი არ ასუსტებს, არამედ კიდევ უფრო აძლიერებს პარტიული კომიტეტების როლს და პასუხისმგებლობას ანგარიშგება-არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარების საქმეში, ავალებს მათ იზრუნონ იმისათვის, რომ პარტიულ ორგანოებში არჩეულ იქნან მხოლოდ საუკეთესო, უნარიანი და შემოწმებული კომუნისტები.

1 ოქტომბრიდან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყება ანგარიშგება-არჩევნები. პარტიული კომიტეტების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა მუდამ იყონ საქმის კურსში, განუწყვეტლივ ადევნონ თვალყური ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობას, ყოველდღიურად უწელმძღვანელონ მას.

ანგარიშგება-არჩევნები დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. პარტიული კონფერენციებისა და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მიმზადება და ჩატარება ხელს შეუწყობს პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას, მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

მის აღმატებულებას
დუაიტ დ. ეიზენჰაუერს,
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.
თეთრი სახლი, ვაშინგტონი.

მახსოვს რა ჩვენი პირადი შეხვედრები ჟენევაში, მე მწუხარებით შევიტყვე თქვენი ავადმყოფობა. სულით და გულით გისურვებთ მალე გამოჯანმრთელებას.

ნ. ხრუშჩოვი.

მის აღმატებულებას
დუაიტ დ. ეიზენჰაუერს,
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.
თეთრი სახლი, ვაშინგტონი.

ძალიან შემაწუხა ცნობამ თქვენი ავადმყოფობის შესახებ. გულწრფელად გისურვებთ რაც შეიძლება მალე გამოჯანმრთელებას.

კ. ვოროშილოვი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მის აღმატებულებას
დუაიტ დ. ეიზენჰაუერს,
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.
თეთრი სახლი, ვაშინგტონი.

დიდი მწუხარებით შევიტყვე თქვენი ავადმყოფობა. სულით და გულით გისურვებთ რაც შეიძლება მალე გამოჯანმრთელებას.

ნ. ბულგანინი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღეს ჯ. ნერუს წინადადება ეწვიონ ინდოეთს

ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს მიწვევით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი წელს ეწვევიან ინდოეთს და დაჰყოფენ იქ ორ კვირაზე ცოტა მეტს. განზრახულია, რომ გამგზავრება მოხდეს ნოემბერ-დეკემბერში.

მის აღმატებულებას
ნ. ა. ბულგანინს,
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.
ბონი.

ბატონო ფედერალურო კანცლერო,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საბჭოთა მთავრობის წარდგინებით, დღეს დაამტკიცა შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

სიხარულით შევიტყე, რომ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ბუნდესტაგმაც ერთსულოვნად მოიწონა აღნიშნული შეთანხმება. ამრიგად დამთავრდა ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების საკითხის გადაჭრა.

საბჭოთა მთავრობა გულწრფელად გილოცავთ ამასთან დაკავშირებით და გამოთქვამს რწმენას, რომ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება სასარგებლო იქნება გერმანელი და საბჭოთა ხალხებისათვის, სასარგებლო იქნება საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის.

იმედი გვაქვს, რომ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ხელს შეუწყობს აგრეთვე ეკონომიური და კულტურული კავშირის შემდგომ განვითარებას საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბ-ნო ფედერალურო კანცლერო, თქვენდამი ჩემს დიდ პატივისცემაში.

ნ. ბულგანინი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

1955 წლის 24 სექტემბერი.

სრულიად საკავშირო კონკურსი საუკეთესო კინოსცენარებზე

იმ მიზნით, რომ ფართოდ მიიზიდონ საბჭოთა მწერლები და დამწყები ავტორები მხატვრული ფილმების კინოსცენარების შესაქმნელად, რომლებიც მზადდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისათვის, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირმა მიიღეს გადაწყვეტილება მოაწყონ სრულიად საკავშირო კონკურსი საუკეთესო სცენარებზე.

კონკურსისათვის წარმოდგენილი სცენარები შეიძლება მიეძღვნას საბჭოთა სახელმწიფოს გმირული ისტორიისა და საბჭოთა საზოგადოების თანამედროვე ცხოვრების თემებს.

ისტორიული თემების სცენარებში ასახული უნდა იყოს რუსეთის პროლეტარიატისა და ლენინური პარტიის გმირობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პერიოდში; ძირითადი ეტაპები საბჭოთა კავშირის მშრომელთა ბრძოლისა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირში სოციალისტური წყობილების გამარჯვებისათვის; საბჭოთა ხალხის დიდი მიღწევები საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

თანამედროვე თემების სცენარებში ასახული უნდა იყოს საგმირო საქმეები საბჭოთა ხალხისა, რომელიც წყვეტს მძიმე ინდუსტრიისა და ტექნიკური პროგრესის განვითარების ამოცანებს, იბრძვის ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობისათვის, ნაჩვენები უნდა იყოს საბჭოთა ადამიანების ახალი ცხოვრება და ახალი ყოფა.

კონკურსზე წარმოდგენილ სცენარებში შექმნილი უნდა იყოს ჩვენი თანამედროვეების — მუშათა კლასის მოწინავე ადამიანების, წარმოების ნოვატორების, სოფლის მეურნეობის მშრომელების, საბჭოთა ინტელიგენციის მართალი და მკაფიო სახეები, რომლებიც ღრმად გვიხსნიან საბჭოთა ადამიანების მდიდარ სულიერ სამყაროს, მათი შრომითი საქმიანობის, საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების მთელ მრავალფეროვნებას.

კონკურსზე მიიღება სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ორიგინალური სცენარები, რომლებიც დაწერილია ყოველგვარი ჟანრით (ეპოპეა, დრამა, კომედია და სხვ.).

კონკურსი ღიაა. იგი გასტანს 1955 წლის 1 ოქტომბრიდან 1956 წლის 1 ნოემბრამდე.

კონკურსზე გასაგზავნ ხელნაწერებს ავტორები წარადგენენ სსრ კავშირის 16 მოკავშირე რესპუბლიკის ყოველ სახელმწიფო ენაზე, დეციზებით.

კონკურსი ეწყობა ორ ტურად. პირველი (შერჩევითი) ტური ეწყობა მოკავშირე რესპუბლიკებში, და რესპუბლიკური ჟიურების მიერ შოწონებული სცენარები გადადის მეორე ტურში — სრულიად საკავშირო კონკურსის ჟიურის განსახილველად.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და საბჭოთა მწერლების კავშირის სამდივნომ დაამტკიცეს საუკეთესო კინოსცენარების სრულიად საკავშირო კონკურსის ჟიური ა. ა. სურკოვის თავმჯდომარეობით.

კონკურსით დაწესებულია 18 პრემია: 3 პირველი პრემია თვითეული 100 ათასი მანეთი, 5 მეორე პრემია თვითეული 60 ათასი მანეთი, 10 მესამე პრემია თვითეული 40 ათასი მანეთი, 15 წასახალისებელი პრემია თვითეული 10 ათასი მანეთი.

აღნიშნულ პრემიებს მიაკუთვნებს კონკურსის სრულიად საკავშირო ჟიური.

კინოსტუდიები, რომლებიც დასადგმელად მიიღებენ სრულიად საკავშირო კონკურსის ჟიურის მიერ პრემირებულ ან აღნიშნულ სცენარებს, ავტორებისაგან მათ იძენენ არსებული სახელმეკრულებო პირობების საფუძველზე.

ხელნაწერების წარდგენის ვადაა 1956 წლის 1 აგვისტო.

სრულიად საკავშირო კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილება საუკეთესო კინოსცენარებზე გამოქვეყნდება არაუგვიანეს 1956 წლის 5 ნოემბრისა.

კონკურსის დაწვრილებითი პირობები ქვეყნდება გაზეთ „სოვეტსკაია კულტურაში“.

ტანკისტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები

24 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საზეიმო სხდომა ქალაქ მოსკოვის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, მიძღვნილი ტანკისტის დღისადმი.

სცენის სიღრმეშია ცოცხალი ყვავილებით მორთული ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები. საბრძოლო დროშებთან საპატიო ყარაულში დგანან დიდი სამამულო ომის მონაწილე ოფიცრები.

საზეიმო სხდომა გახსნა სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკმა პ. პ. პოლუბოიაროვმა.

ტანკისტ-მეომრებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს: მოსკოვის მშრომელთა სახელით — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ბ. ა. ფორისოვმა, ლენინური კომკავშირისა და ახალგაზრდობის სახელით — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ე. სემიჩასტნიმ, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების სახელით — სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილემ ი. ა. ნაზაროვმა.

საზეიმო სხდომის მონაწილეებისათვის საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის კოლექტივმა უჩვენა სპექტაკლი.

* * *

ტანკისტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები გაიმართა აგრეთვე ლენინგრადში, მინსკში, ტაშკენტში, რიგასა და სხვა ქალაქებში. (საკდესი).

* * *

24 სექტემბერს თბილისის ოფიცრის სახლის პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა საერთო საქალაქო კრება, რომელიც მიეძღვნა ტანკისტის დღეს.

კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. კ. მალრაძემ.

მოსმენილ იქნა მოხსენება „ტანკისტის დღე მშრომელთა საყოველთაო სახალხო დღესასწაულია“.

პარკში გახსნილია ტანკისტთა საგმირო საქმეებისადმი მიძღვნილი გამოფენა. (საქდესი).





1. ეს ტონეთის სს რესპუბლიკა. ნარვის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. პირველი ტურბინი მალე ამუშავდება. სურათზე: ნარვის ჰიდროელექტროსადგურის მეორე ტურბინის კვანძების მონტაჟი. 2. ვოლოგდის ოლქი. სურათზე: ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის № 2 ბრძმედის მშენებლობა.

ფოტო ნ. ნაუმენკოვისა და გ. უდალცოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რკინიგზის სკოლების მასწავლებელთათვის საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბალხო განათლების დარგში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება:

1. **აბაშიძეს** თამარ გიორგის ასულს — რკინიგზის № 9 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური ნავთლული.
2. **აფრიდონიძეს** ტიმოთე ივანეს-ძეს — რკინიგზის № 2 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს, სადგური თბილისი.
3. **ბარათაშვილს** კალისტა ბიქტორის ასულს — რკინიგზის № 16 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური ზესტაფონი.
4. **ბახტაძეს** დავით დარისპანის-ძეს — რკინიგზის № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი.
5. **გვახარიას** ანა კონსტანტინეს ასულს — რკინიგზის № 5 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი.
6. **ვარდანიანს** თამარ ალექსანდრეს ასულს — რკინიგზის № 30 დაწყებითი სკოლის გამგეს, სადგური კუმისი.
7. **ვაშაკიძეს** ვერა ბესარიონის ასულს—რკინიგზის № 17 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური შორაპანი.
8. **ვიაზოვსკაიას** ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს — რკინიგზის № 13 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური ხაშური.
9. **თოდუას** იონა დავითის-ძეს — რკინიგზის № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი.
10. **კვინიკაძეს** პროკოფი ნიკოლოზის-ძეს — რკინიგზის № 8 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს, სადგური თბილისი.
11. **ლეკიშვილს** ელპიდე იოსების ასულს — რკინიგზის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი.
12. **მირიანაშვილს** ბარბარე ნიკოლოზის ასულს — რკინიგზის № 8 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი.
13. **მურუსიძეს** კლავდია სერაფიონის ასულს — რკინიგზის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი.
14. **ნინუას** ოარაფინა სიმონის ასულს — რკინიგზის № 7 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი.
15. **ტაბიძეს** ტატიანა ამფილოქეს ასულს — რკინიგზის № 24 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური სამტრედია.
16. **ტატაშვილს** მარიამ ილარიონის ასულს — რკინიგზის № 11 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური გორი.
17. **ტორჩინავას** ნატალია გრიგოლის ასულს — რკინიგზის № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი.
18. **ფილიშვილს** მარიამ ვასილის ასულს — რკინიგზის № 6 საშუალო სკოლის დირექტორს, სადგური თბილისი.
19. **ჭურდევანიძეს** ნადეჟდა ნიკოლოზის ასულს — რკინიგზის № 12 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური ხაშური.
20. **შაიშმელაშვილს** მიხეილ გიორგის-ძეს — რკინიგზის № 3 საშუალო სკოლის დირექტორს, სადგური თბილისი.
21. **შახალოვას** მარიამ სტეფანეს ასულს — რკინიგზის № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი.
22. **შენგელიას** ნინო პავლეს ასულს — რკინიგზის № 10 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი.
23. **ჩიმაკაძეს** ეფროსინე მაქსიმეს ასულს — რკინიგზის № 4 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი.
24. **ცინცაძეს** ალექსი ტროფიმეს-ძეს — რკინიგზის № 7 საშუალო სკოლის დირექტორს, სადგური თბილისი.
25. **ცვენიევს** ტიგრან მიხეილის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სასწავლო დაწესებულებათა განყოფილების სასკოლო ინსპექტორს.
26. **ჭანტურიას** ლუბა დარისპანის ასულს — რკინიგზის № 4 საშუალო სკოლის მასწავლებელს, სადგური თბილისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1955 წ. 26 სექტემბერი.

სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებმა წვეულებრივი წლიური გეგმა შეასრულეს

სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებმა 25 სექტემბრისათვის 101,4 პროცენტით შეასრულეს წველადობის წლიური გეგმა. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 710 კილოგრამი რძე. გასულ წელთან შედარებით მოწველილია 611 ტონით მეტი რძე.

ახალი გაზგენერატორი

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ლიტოპონის ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი გაზგენერატორი, რომელიც აგებულია ტექნიკის სიახლეთა გათვალისწინებით.

გაზგენერატორის ამუშავების შემდეგ გაზით უზრუნველყოფილი იქნება ქარხნის ყველა ძირითადი საამქრო.

ახალი სასწავლო წლის წინ

მთავარი პარტიული ბიბლიოთეკის მუშაობაში

საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიბლიოთეკა გაცხოველებით ემზადება ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების სისტემაში. ბიბლიოთეკა გულმოდგინედ მუშაობს იმ შეცდომების გამოსასწორებლად, რომლებიც მას გასულ წლებში ჰქონდა პარტიული განათლების მოწყობაში. ნებაყოფლობის პრინციპის მტკიცედ განხორციელების საფუძველზე ქალაქში შემცირდა წრეების რაოდენობა, გაიზარდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა რიცხვი, წრეებისა და პოლიტსკოლების რაოდენობის შემცირებით ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებს საშუალება მიეცათ გაეუმჯობესებინათ პროპაგანდისტთა შემადგენლობა, ეს პასუხსაგები საქმე დაეკისრებინათ თეორიულად მომზადებული და მეთოდურად დახელოვნებული ამხანაგებისათვის. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა რიცხვის გადიდებამ ახალი ამოცანების წინაშე დააყენა პარტიული ბიბლიოთეკა, გაიზარდა მოთხოვნილება კონსულტანტებისადმი. თუ შარშან მხოლოდ ბიბლიოთეკაში იყო დაწესებული კონსულტანტთა მორიგეობა, წელს პირველად პარტიულ ორგანიზაციებში იმუშავებს 60-მდე კონსულტანტი.

ახალი ამოცანების წინაშე დადგა სალექციო მუშაობა. ლექციურ პროპაგანდას შარშან სერიოზული ნაკლი ჰქონდა. ზოგიერთი ლექცია ნაკლებად იყო დაკავშირებული ადგილობრივ ცხოვრებასთან, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან, ლექტორი სათანადოდ ვერ აშუქებდა იმ საწარმოს ცხოვრებას, რომელშიც ლექციას კითხულობდა. ცხადია, ასეთი ლექცია მიზანს ვერ აღწევდა. ამჟამად მთელი ყურადღება გადატანილია ლექციების სწორ ორგანიზაციაზე. საქალაქო კომიტეტის ბიურო ყოველთვიურად ისმენს სალექციო მუშაობის გეგმის შესრულების მიმდინარეობას და ამტკიცებს მომავალი თვის გეგმას. გეგმის დამტკიცების დროს ყურადღებას აქცევენ არა მარტო ლექციების თემატიკას, არამედ ლექტორთა შემადგენლობას, ლექციისათვის განკუთვნილ დროს, ადგილს. ამჟამად ქალაქკომის 25 ლექტორი კითხულობს ლექციებს ქალაქის საწარმო-დაწესებულებებში, აგრეთვე სოფლად. გარდა ამისა, ახალი სასწავლო წლიდან პარტიულ ბიბლიოთეკას დაგეგმილი აქვს პარტიის ისტორიის საკითხებზე მოაწყოს ლექციათა ოთხი ციკლი.

გამოცდილებამ ცხადყო, რომ მსმენელებში დაინტერესებას იწვევს ის ლექცია, რომელშიც თეორიულ განზოგადებასთან ერთად ასახულია იმ რაიონის, ქალაქის, ან საწარმოს ცხოვრება, სადაც ლექცია იკითხება. მაგალითად, ამას წინათ საინტერესოდ მოეწყო ტორფის ქარხანაში ქალაქკომის ლექტორის ა. ტიკარაძის ლექცია თემაზე: „ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომა — „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“. ლექტორმა საათნახევრიან ლექციაში მოკლედ დაახასიათა ამ შრომის უდიდესი მნიშვნელობა კადრების თეორიული შეიარაღებისათვის. ამავე დროს, როდესაც პროდუქციის თვითღირებულების საკითხებს შეეხო, ტორფის ქარხნის ეკონომიკისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესწავლის საფუძველზე ნათელყო, რომ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების განუხრელი შემცირება წარმოების რენტაბელობის მაჩვენებელია და ხელს უწყობს მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მსმენელებისათვის ნაცნობ, გასაგებ მაგალითებზე აგებულმა ლექციამ აზრთა ცხოველი გაცვლა გამოიწვია. ისინი მსჯელობდნენ, აძლევდნენ შეკითხვებს, საუბრის დროს მოჰყავდათ თავიანთი უბნის მუშაობის მაგალითები და სხვ.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად ლექციური პროპაგანდა, მართალია, მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი არ არის ერთადერთი ფორმა. ბიბლიოთეკაში დიდი ყურადღება ექცევა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელთა სემინარების მუშაობას. როგორც ქალაქად, ისე სოფლად წელს განსაკუთრებით გაიზარდა პოლიტიკური ეკონომიისა და კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელთა რაოდენობა. სულ მომავალი სასწავლო წლიდან პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის მსურველები ორ წრესა და სამ სემინარში აიმაღლებენ თეორიული მომზადების დონეს. ნავსადგურში იმუშავებს მრეწველობის ეკონომიკის შემსწავლელი ერთი სემინარი, ხოლო სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი თეორიული სემინარი მოეწყობა მტს-ში. პოლიტიკური ეკონომიისა და კონკრეტული ეკონომიკის საკითხების შემსწავლელთა დასახმარებლად ბიბლიოთეკამ უკვე გაითვალისწინა ლექციების ციკლის მოწყობა პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს ცალკე თავების მიხედვით. გარდა ამისა, თვეში 4-5-ჯერ მოეწყობა პოპულარული ლექციები.

ცნობილია, რომ პროპაგანდისტულ მუშაობაში მთავარია თეორიული დებულებების განუყოფელი კავშირი ცხოვრებასთან, კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან. პარტიული ბიბლიოთეკა ყოველმხრივ ცდილობს შეაიარაღოს პროპაგანდისტთა კადრები კომუნისტური პარტიის მდიდარი პოლიტიკური გამოცდილებით, მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა ცოდნით, ისწავლოს ცხოვრებისაგან და დაეხმაროს ახალი ცხოვრების მშენებლებს. თეორიული საკითხების პრაქტიკულ ამოცანებთან დაკავშირებაში პროპაგანდისტებს ეხმარება ექსკურსიები, ქალაქის სამრეწველო საწარმოთა ცხოვრების ამსახველი დიაგრამები და გამოფენები. ასეთი გამოფენები არის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში, მტს-ში. ქალაქის ცენტრში სპეციალურ სტენდზე წარმოდგენილია საწარმოებში მომუშავე მოწინავე ადამიანთა სურათები და ციალიურ საწარმოთა მიხედვით გეგმის შესრულების მაჩვენებლები.

რევოლუციური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგების რიცხვის ზრდასთან ერთად დიდად გაიზარდა მოთხოვნილება წიგნზე. იმატა პარტიული ბიბლიოთეკიდან წიგნებისა და ჟურნალების გაცემამ. მდიდარია ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი. იგი 15.000 წიგნისაგან შედგება. მას მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან ყოველდღიურად ემატება წიგნები, რომელებსაც იღებენ მოსკოვიდან, თბილისიდან. ბიბლიოთეკარი ნ. პატარაია საინიმუშოდ უვლის წიგნებს. მას კარგად აქვს დაყენებული ბიბლიოგრაფიულ-საცნობარო მუშაობა. შემოღებულია მეცნიერების დარგების მიხედვით სისტემატური კატალოგი, რომელშიც წიგნების შესახებ ცნობებთან ერთად მოთავსებულია გაზეთებში და ჟურნალებში დაბეჭდილი მნიშვნელოვანი სტატიების ბიბლიოგრაფიული ცნობები. პარტიული განათლების სისტემაში მომუშავე ამხანაგების დასახმარებლად დიფერენცირებულად შედგენილია კატალოგი თემატიკის მიხედვით, აგრეთვე ცალკე კატალოგია ლექტორებისათვის. ამჟამად ბიბლიოთეკაში გამოფენილია სარეკომენდაციო ლიტერატურის სია სტალინ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებების შემსწავლელთა დასახმარებლად.

როგორც აღვნიშნეთ, უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნილება წიგნზე. ეს შემთხვევითი არ არის. ბიბლიოთეკა სერიოზულ ყურადღებას აქცევს წიგნის თვალსაჩინო და ზეპირ პროპაგანდას. მთავარ დარბაზში გაფორმებულია სტენდი „ახალი წიგნები“.

პარტიულ ბიბლიოთეკაში სერიოზული ყურადღება ექცევა პარტიული პროპაგანდის მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას და გავრცელებას. ამ რამდენიმე თვის წინათ მოწვეულ იქნა ქალაქის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და პროპაგანდისტების თათბირი, რომელზეც მოისმინეს ნავსადგურის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტის ქ. გუჯაბიძის მოხსენება თემაზე — „როგორ ვემზადები მეცადინეობისათვის“. მოხსენება თემაზე — „როგორ ვიყენებ თვალსაჩინოებას მეცადინეობის პროცესში“ გააკეთა პურკომბინატის პარტორგანიზაციასთან არსებული წრის პროპაგანდისტმა დ. მგელაძემ.

სისტემატურად ეხმარება პარტიული ბიბლიოთეკა აგიტატორებსაც. აქ მოწყობილია „აგიტატორის კუთხე“, სადაც წარმოდგენილია ყველა ის საჭირო ლიტერატურა და თვალსაჩინობა, რომლებიც აგიტატორს საუბრის დროს გამოადგება.

პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიბლიოთეკა ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პარტიული პროპაგანდის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის. მისი საბრძოლო ამოცანაა არ დაკმაყოფილდეს მიღწეულით, უფრო ღრმად შეისწავლოს კომუნისტთა მოთხოვნები, შეუქმნას მათ ყველა საჭირო პირობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად დაუფლებისათვის, მიაღწიოს იმას, რომ კომუნისტებმა მიღებული ცოდნა მჭიდროდ დაუკავშირონ კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს.

მ. ვარდოსანიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

თბილისის პლასტმასის ქარხნის მოწინავე მწნეხავი თამარ არაბული პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგას და ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. **სურათზე:** მწნეხავთა ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. ლევიცკაია (მარჯვნივ) ამოწმებს თ. არაბულის მიერ დამზადებულ პროდუქციას. ფოტო შ. გოჭაძისა.

★

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად

ბათუმელ მენავთობეთა ნარმატება

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის ასსრ უდიდესი საწარმოს — სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა — საერთო პროდუქციის გამოშვების აგვისტოს გეგმა გადაჭარბებით გაანადა.

შეწყობილად და მაღალნაყოფიერად მუშაობენ ქარხნის ძირითადი საამქროები. საუკეთესო მაჩვენებლები აქვს მეორე საამქროს კოლექტივს, რომელსაც ამხ. ა. ხარებავა ხელმძღვანელობს. მას მხარს უსწორებს პირველი საამქროს კოლექტივი (უფროსი ამხ. ნ. პრიხოდკო). გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ აგრეთვე ქარხნის მესამე და მეოთხე საამქროთა კოლექტივებიც.

ელექტროენერგია გეგმის გადამეტებით

მცხეთა. (საკ. კორ.). სექტემბერი განსაკუთრებული შრომითი აღმავლობით აღინიშნება ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურში. დღითიდღე ძლიერდება პარტიის XX ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა. ავჭალელმა ენერგეტიკოსებმა ელექტროენერგიის გამომუშავების თხუთმეტი დღის დავალება ოთხი დღით ადრე — 11 სექტემბრისათვის შეასრულეს.

უწუნოდ, უავარიოდ მუშაობენ მორიგე ინჟინრები ქ. მაისურაძე, შ. მახარაძე, ტექნიკოსები ნ. ტატიაშვილი, რ. ქსოვრელი.

მივიწყებული კოლმეურნეობა

ივანე თავაური კალოზე წვიმისაგან დასველებულ მარცვლის ხვავს შლიდა გასაშრობად. კოლმეურნემ იცნო მტს-ის დირექტორი კოტე ჩეჩელაშვილი, ხვავზე ნიჩაბი მიაგდო და გამოელაპარაკა:

— აბა ეს საქმეა?! არ შეგვეძლო დროზე დამბინავებინა? მაგრამ ვინ დაეძებდა ამას! ყველა ასე გულდამშვიდებული შეჰყურებთ ჩვენი კოლმეურნეობის გამგეობის უხეიერო მუშაობას.

დირექტორს არაფერი უთქვამს. საუბარში მეორე კოლმეურნე ჩაერია.

— იმაზე რაღა ზომები მიიღეთ, „მარლიანთ მიწებში“ თივად გათიბული ყანა მინდორში რომ დალპა დაუზვინავი? ან ზორეთში 0,25 ჰექტარ ფართობზე დათესილი კარტოფილი რომ წახდა მოუვლელობით?

— უგრეხელი რომ დარჩა აუღებელი? — დაუმატა ვიღაცამ.

სად ხდება ეს აღმაშფოთებელი ფაქტები? კასპის რაიონის სოფელ თეზის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში, სამთავისის მტს-ისა და ამ ზონაში პარტიის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის თვალწინ.

წელს ამ კოლმეურნეობაში ძლიერ გაჭიანურდა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. ამის გამო იყო დანაკარგები რამაც კიდევ უფრო შეამცირა მოსავლიანობა. კომბაინით აღებული ფართობებიდან ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 9 ცენტნერის ნაცვლად მიღებულია 3,5 ცენტნერი ხორბალი. საერთოდ აქ დაგვიანებით, აგროტექნიკის უხეში დარღვევით სრულდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ჯერ კიდევ არ ექცევა საჭირო ყურადღება საზოგადოებრივ მეცხოველეობას. უყურეს კოლმეურნეობის ვენახს და ხედავ, რომ მის გარკვეულ ფართობს წელს ადამიანის ხელი არ მიჰკარებია.

ასეთი ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა. 295 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან ყოველდღიურად საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობას იღებს 120-150 კოლმეურნე.

საშემოდგომო თესვის ვადები მოახლოვდა, თესვისათვის მზადება კი ჭიანურდება. 10 სექტემბრისათვის კოლმეურნეობას თესლის ხარისხის შესამოწმებელ ლაბორატორიაში წარდგენილიც არა ჰქონდა თესლი კონდიციაზე შესამოწმებლად. თესლის დიდი ნაწილი ისევ გასაწმენდ-გასარჩევია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თესლების წმენდაში თეზელ კოლმეურნეებს დახმარებას არ უწევს სამთავისის მტს-ი. ამიტომ აქ თესლს ძველებურად ცხრილებით წმენდენ. დაბალია საშემოდგომო ხვნის ტემპიც. სატრაქტორო ბრიგადის წევრებს სამართლიანი პრეტენზიები აქვთ კოლმეურნეობის გამგეობის მიმართ. სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა ვ. კუდუხაშვილმა განაცხადა: — აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ არავინ ზრუნავს ჩვენთვის ცხელი საჭმლის მოსამზადებლად, კოლმეურნეობის გამგეობას ღამის ყარაულიც არ გამოჰყავს და იძულებული გართ ტრაქტორები [illegible] ლოთო.

კოლმეურნეობაში მეტად ნელი ტემპით დებენ სილოსს. რვა დღეში ასოცდაათი ტონის ტევადობის ერთი ორმო ძლივს ამოავსეს. მტს-ის სილოსსაჭრელი მანქანა ხშირად ცდება ხან ტექნიკური უწესივრობით, ხან სასილოსე მასის მიტანის მოლოდინში.

სოფელ თეზის კოლმეურნეობა წინათაც ჩამორჩენილი იყო. მიმდინარე წლის თებერვალში პარტიის კასპის რაიკომმა კოლმეურნეობის ახლანდელ თავმჯდომარეს ე. შარაშიძეს რეკომენდაცია რომ გაუწია თეზელ კოლმეურნეთა წინაშე თავმჯდომარედ ასარჩევად, დარწმუნებული იყო, რომ ის გაამართლებდა ამ დიდ ნდობას, მაგრამ მან ჯერჯერობით ეს ვერ შეძლო.

კოლმეურნეობაში არსებული ეს ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისადმი სუსტია პარტიული ხელმძღვანელობა და კონტროლი. კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიურო (მდივანი ს. ნავროზაშვილი) არ ახდენს პარტიული კრებების მიერ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდების მიხედვით. გაკვირვებას იწვევს მიმდინარე წლის 31 აგვისტოს ჩატარებული პარტიული კრების მსვლელობა. ამ კრებაზე მსჯელობა ჰქონდათ ორ აქტუალურ საკითხზე — საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის მზადყოფნისა და პირუტყვისათვის საკვების დაგროვების მიმდინარეობის შესახებ, მაგრამ განხილულ საკითხებზე პარტიულ კრებას არ მიუღია დადგენილება.

— ამ პარტიული კრების შემდეგ პარტიის რაიონული კომიტეტიდან თუ ვინმე იყო კოლმეურნეობაში? — შევეკითხეთ პარტიიურის მდივანს ს. ნავროზაშვილს.

— იყო პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი სამთავისის მტს-ის ზონაში ამხ. რაზმაძე.

— მერე რა შედეგი მოჰყვა მის მოსვლას?

— შემპირდა, მეორედ რომ მოვალ, დახმარებას გაგიწევო.

სოფელ თეზის კოლმეურნეობის გამგეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში არსებული ეს და სხვა ნაკლოვანებანი იმაზეც ლაპარაკობენ, რომ ეს კოლმეურნეობა მიეწყვეტულია პარტიის კასპის რაიკომისა და რაიაღმასკომის მიერ. პარტიის რაიკომისათვის კარგად არის ცნობილი, რომ რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი სამთავისის მტს-ის ზონაში სუსტად ეხმარება ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, მაგრამ რატომღაც ითმენს ამას და ინსტრუქტორთა ჯგუფის საქმიანობის გასაძლიერებლად არ სახავს კონკრეტულ ღონისძიებას.

სოფელ თეზის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობიდან პარტიის კასპის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

რუსთავის კომუნისტები ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა დასახა საბრძოლო პროგრამა, რომლის პრაქტიკულად განხორციელება უზრუნველყოფს ჩვენი მრეწველობის შემდგომ სწრაფ აღმავლობას, მეცნიერების და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენებას წარმოებაში, ტექნოლოგიისა და შრომის ორგანიზაციის დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ტექნიკის დანერგვას და ტექნოლოგიის გაუმჯობესებას მეტალურგიაში, რომელიც სოციალისტური ინდუსტრიის ხერხემალს წარმოადგენს.

რუსთავის პარტიული ორგანიზაციები, იბრძვიან რა საწარმოო გეგმების ვადაზე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, დიდ ყურადღებას აქცევენ ტექნიკური პროგრესის, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების საკითხებს.

დიდხანს ჩამორჩენოდა მუშაობაში სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილნამზადის საამქრო (უფროსი გ. ქურდიანი). საამქრომ ვერ აითვისა წვრილი პროფილების ნორმალური გლინვა, რის შედეგადაც მკვეთრად ეცემოდა შრომის ნაყოფიერება. საამქროს პარტიულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩამორჩენის გამოსწორებისათვის ბრძოლის საქმეში. მან აქტიურად შეუწყო ხელი ყველა წამოწყების განხორციელებას შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად. პარტიულ კრებებზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიც არის ტექნოლოგიის გაუმჯობესება, წარმოების შემდგომი ზრდისათვის საჭირო რეზერვების ამოქმედება, შრომის ნაყოფიერების გადიდება. პარტიული ორგანიზაციის მდივანი საამქროს უფროსი ოსტატი ვ. კერვალიძე ბევრი ძვირფასი წამოწყების, რაციონალიზატორული წინადადებისა და გამოგონების ავტორია. პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით ამ საამქროში გადიდებულ იქნა ცხლად საჭიელი დანადგარების დისკოების გაძლეობა, რამაც შეამცირა დისკოების შეცვლისათვის საჭირო დრო, შესაძლებელი გახადა ირიბი ჭრა და შრომის ნაყოფიერების გადიდება.

აგრეგატების გაუმჯობესება, მათი სიმძლავრეების სრულად გამოყენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს გეგმების ვადამდე შესრულების საქმეში. საამქროში რეკონსტრუირებულ და გაუმჯობესებულ იქნა იმ აგრეგატების დაბრუნებითი ნაკადი, რომლებითაც ხდება კვადრატული ნამზადის გადაცემა „320“ დგანისათვის.

მოპრკეთების უბანზე დანერგილ იქნა მუშაობის ნაკადური მეთოდი, დაიდგა ლითონის ამოჭრის დამატებითი სტელაჟი, დაწესდა ამწეების რემონტის გრაფიკი, უფრო ნაყოფიერად დაიწყო ამწეების გამოყენება.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო საამქროს მიერ შვიდი თვის სამუშაო გეგმის ვადამდე შესრულებას. საამქრომ დაზოგა 1.300 ტონაზე მეტი ლითონი და 2.000 ტონა სათბობი, გადააჭარბა თავის პირველადელ საპროექტო სიმძლავრეს.

ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად დიდი სამუშაოები განხორციელდა სხვა საამქროებშიც. მარტენის საამქროს (პარტორგანიზაციის მდივანი ლ. ხარბედია) კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას ჩქაროსნული ფოლადნობისათვის. კომუნისტები გ. სიგუა, ა. ფანცულაია, ზ. კვახაძე და სხვები ნადნობთა 70 პროცენტს იძლევიან ჩქაროსნული მეთოდით. მათ დნობის ხანგრძლივობა შეამცირეს 2-დან 4 საათამდე და კიდევ მეტად. ეს კი ასეულ ტონობით ზეგეგმით ფოლადს ნიშნავს!

მილსაგლინავი საამქროს პარტიული ორგანიზაციის მიზანსწრაფულმა საქმიანობამ ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეში ასევე დიდმნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო. გამკერავი დგანის წინ ცხელი ნამზადის ავტომატური მაცენტრირებელის დადგმამ მოსპო ხელით შრომა და გააუმჯობესა მილების ხარისხი, ჩატარდა ცდები „400“ აგრეგატის გამკერავ დგანზე წყლით გასაცივებელი მოწყობილობის გამოსაყენებლად.

წინათ ბლუმინგის საამქრო შეუწყნარებლად ჩამორჩებოდა. პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ყ. სიმონიძე) მოიწვია საამქროს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ სხვა საამქროების, ქარხნის სამმართველოს მთელი რიგი განყოფილებების უფროსები. როგორც თათბირზე გამოირკვა, ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის არის, რომ დგანზე ზოდები მოდის დაგვიანებით, გაცივებული. თათბირმა დასახა ღონისძიებანი საამქროს მუშაობის გასაუმჯობესებლად. პარტიულმა ორგანიზაციამ დაწესა მტკიცე კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, ხელი შეუწყო მათ განხორციელებას. ახლა ბლუმინგის საამქროში დანერგილია ზოდების მოზიდვის, გახურებისა და გლინვის ახალი შემჭიდროებული გრაფიკით მუშაობა. ეს საშუალებას იძლევა ერთიორად დავაჩქაროთ მათი მიწოდება მარტენის საამქროდან ბლუმინგის გამხურებელ ჭაში.

მუშაობის ახალი გრაფიკის დანერგვას წინ უძღოდა დიდი მუშაობა. შესწავლილ იქნა „აზოვსტალის“ და სხვა მეტალურგიული ქარხნების მგლინავთა გამოცდილება. მთელმა რიგმა ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა საშუალება მოგვცა დაგვეწესებინა ზოდების ხურების და გლინვის უფრო ინტენსიური რეჟიმი, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ავტომატიკის გამოყენება.

შემჭიდროებულმა გრაფიკმა ბევრი ახალი რამ შეიტანა მუშაობაში, ხელი შეუწყო მოწყობილობის გამოყენების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას. გამხურებელი ჭების წარმადობა 15 პროცენტით გაიზარდა. ზოდების ხურების დაჩქარებამ მოითხოვა გლინვის ტემპის გაძლიერება. ამაღლებულ იქნა ლითონის შეკუმშვა, გაიზარდა ლილვების დიამეტრი. ბლუმინგის საამქროს მოწინავე ოპერატორები ი. მეტრეველი, ვ. ვეფხვიშვილი, უფროსი შემდუღებელი ო. ღვინინაძე და სხვები გადაჭარბებით ასრულებენ ცვლის დავალებას.

რუსთავის მეტალურგები დიდი ყურადღებით გაეცნენ თბილისის სამრეწველო-სატრანსპორტო საწარმოთა მოწინავეების საქალაქო კრების მონაწილეთა მიმართვას რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისა და მოსამსახურისადმი.

თბილისელთა მაგალითის მიხედვით რუსთავის მეტალურგებმა გადაწყვიტეს ვადამდე შეასრულონ მიმდინარე წლის გეგმა, უფრო სრულად გამოიყენონ წარმოების მდიდარი რეზერვები და ამით ახალი წვლილი შეიტანონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების საქმეში.

მიუხედავად მუშაობის დადებითი შედეგებისა, ივლისში და აგვისტოში ცალკეულმა საამქროებმა გააუარესეს მუშაობა. გარღვევიდან კიდევ ვერ გამოსულა საბრძოდე საამქრო, რომელიც თვეობით ვერ ასრულებს თუჯის გამოდნობის სახელმწიფო გეგმას და რომელმაც მარტო ივლისში ჩვენს ქვეყანას დააკლო ათასობით ტონა თუჯი. ღუმელების მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი ქარხანაში შეადგენს 1,10-ს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 0,88-სა, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის მოწინავე ქარხნებში (მაგნიტოგორსკის, კუზნეცკისა და სხვ.) ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი შეადგენს 0,72-0,75-ს.

საამქროების მუშაობაში ასეთი ნაკლოვანებები არ იქნებოდა, პარტიულ ორგანიზაციებს საამქროთა კოლექტივები, წარმოების ნოვატორები რომ დაერაზმათ ახალი ტექნიკური პრობლემების გადასაჭრელად, ჯეროვნად რომ მოეკიდათ ხელი სოციალისტური შეჯიბრების, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის საკითხებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტმა, ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა (მდივანი მ. ციტაიშვილი) ჯერ კიდევ ვერ გადაჭრეს ახალი ტექნიკის და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვასთან დაკავშირებული ბევრი ამოცანა. პარტიის საქალაქო კომიტეტს, ქარხნის პარტიულ კომიტეტს აქამდე არ მოუწყვიათ ქარხანაში რაციონალიზატორებისა და გამმაგონებლების კრება, ბრიგადირების, ოსტატების, ცვლის უფროსების სემინარები.

ივლისის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების ღირსეულად შესრულებისათვის საჭიროა მკაცრი წესრიგი დავამყაროთ ყველა საწარმოო უბანზე, მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ თვითეულ მშრომელს საშუალება ჰქონდეს უნარიანად იმუშაოს და დაუღალავად ზარდოს თავისი წვლილი საერთო წარმატებებში. აუცილებელია ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, ვინაიდან შეგნებული შრომის დისციპლინა შრომის ნაყოფიერების გადიდების, გეგმების ვადამდე შესრულების საწინდარია. მაგრამ, სამწუხაროდ, მეტალურგიულ ქარხანაში ყველა როდი იჩენს ასეთ დამოკიდებულებას შრომისადმი. შრომის ნაყოფიერების რა გადიდებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც სარემონტო-მექანიკურ საამქროში ყოველთვიურად ცდება ჩარხების 30-40 პროცენტი. ბრძმედების გაცდენა ბევრჯერ აღემატება გეგმით გათვალისწინებულს.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა განიხილა სბრძმედე საამქროს მუშაობის საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მისი მუშაობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ დირექციამ, ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა და საქალაქო კომიტეტმა ვერ უზრუნველყვეს დასახულ ღონისძიებათა შესრულება, და საამქრო კვლავ დაბალ დონეზე განაგრძობს მუშაობას.

ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა სბრძმედე და მარტენის საამქროების მუშაობის ბამოსწორება და იმის მიღწევა, რომ უახლოეს დღეებში უზრუნველყოთ თუჯისა და ფოლადის წარმოების აკვეთილი აღმავლობა, ამის საფუძველზე კი ნაგლინისა და მილების წარმოების გადიდება.

ბევრი რამ უნდა გააკეთონ საგლინავი საამქროების სამეურნეო ხელმძღვანელებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით აგრეგატების გაცდენის მკვეთრად შემცირებისათვის, ვინაიდან ამ საამქროებშიც მეტად დიდია გაცდენა.

მოწინავე ტექნიკის დანერგვის დარგში მეტალურგებს აქვთ ყველა საჭირო პირობა ნაყოფიერი მუშაობისათვის. წარმოების შემდგომი, უფრო სწრაფი ზრდისათვის საჭირო იქნება, რომ საფუძვლიანად შევისწავლოთ ის მდიდარი გამოცდილება, რომელიც აქვთ ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეტალურგიულ საწარმოებს და ჩვენი ქარხნის მოწინავე ადამიანებს.

ქარხანაში ბევრია სხვა რეზერვებიც შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად. თუჯისა და ფოლადის და, მაშასადამე, ნაგლინის წარმოების გადიდების ერთ-ერთ სერიოზულ რეზერვს წარმოადგენს ნედლეულის სტანდარტიზაცია და ხარისხის მაჩვენებელთა მუდმივობა. ჩვენში ამ მხრივ ცოტა კეთდება, არ ხდება რკინის მადნის და საგლინმერაციო კონცენტრატის გასაშუალება.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი სულ უფრო ფართოდ აჩაღებს სოციალისტურ შეჯიბრებას პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად. რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული, ყველა ღონისძიებას მიიღებს იმისათვის, რომ დარაზმოს მეტალურგები მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესის და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის საბრძოლველად.

ვ. ჩალაძე,
საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

ქარხანა მზად არის ჭარხლის გადამუშავებისათვის

საქართველოს შაქრის ქარხნის კოლექტივმა წარმატებები მოიპოვა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად დაამთავრა ქარხნის რემონტი და მზად არის ახალი მოსავლის ჭარხლის გადამუშავებისათვის.

შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელებისათვის მოეწყო ტრანსპორტიორი, რითაც უზრუნველყოფილ იქნება შემფუთავი განყოფილებიდან საწყობამდე შაქრით სავსე ტომრების გადაზიდვა. დაიდგა ოთხი ახალი ცენტროფუგა, ჭარხლის გადასაქაჩავი ტუმბო, გოგირდის ორი ღუმელი, ჭარხლის საჭრელი ახალი მანქანა, დურდოს საწური წნეხი. აშენდა შიდა ათასი ცენტნერის ტევადობის ჭარხლის შესანახი ტრანშეა. შეკეთებულია ყველა დანადგარი და მოწყობილობა.

დამთავრდა ხაშურის ენერგომომარაგების უბნიდან ქარხანაში მთავარი ძაბვის ხაზის გამოყვანა. მომარაგებულია ქვანახშირი, კირქვა და ჭილობები.

წესრიგზეა მოყვანილი ჭარხლის მიმღები პუნქტები და ტრანსპორტი. მომზადდა და გადამზადდა ავტომანქანები სეზონური მუშაობისათვის. (საკ. კორ.).

შაქრის ჭარხლის აღება დაიწყო

ქარელი. (საკ. კორ.). 23 სექტემბერს ქარელის რაიონის კოლმეურნეობებში დაიწყო შაქრის ჭარხლის აღება. ორგანიზებულად მიმდინარეობს ჭარხლის აღება და ჩაბარება სოფელ დვანის კაგანოვიჩის სახელობის, ქვენატკოცის, ქარელის, კეხიჯვრის, ზემო ხვედურეთის, ახალსოფლის და სანებლის კოლმეურნეობებში.

საქართველოს შაქრის ქარხანას გადასამუშავებლად უკვე მიღებული აქვს 7.000 ცენტნერამდე შაქრის ჭარხალი.

კოლმეურნეობები შაქრის ჭარხლის კარგ მოსავალს იღებენ.

რადიოკვანძი მთის სოფელში

ზნაური. (საკ. კორ.). მთის პატარა გდინარე ფრონეს მარცხენა ნაპირზე შეფენილია სოფელი ყორნისი. ძველათ მიყრუებული სოფელში ახლა ბევრი კულტურული დაწესებულებაა — საშუალო სკოლა, სასოფლო კლუბი და ბიბლიოთეკა, ქოხ-სამკითხველო, საქიმო პუნქტი.

ამას წინათ ყორნისელმა კოლმეურნეებმა კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქარი მიიღეს. სოფელში დაიდგა რადიოკვანძი. 150 კოლმეურნის ოჯახი ისმენს ადგილობრივ გადაცემას. პირველ დღეს მიკროფონთან გამოვიდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. ჯიოევი და აგრონომი შ. აქირთავა. ისინი კოლმეურნეებს ესაუბრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებზე და კოლმეურნეობის ამოცანებზე.

მზადდება რადიოკვანძის გადაცემათა პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოხსენებები, ლექციები და საუბრები, აგრეთვე მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლები.

მარტიროს სარიანი

გამოჩენილი საბჭოთა მხატვრის მარტიროს სარიანის ნაწარმოებთა გამოფენის გახსნა თბილისში საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეის შენობაში დიდი მოვლენაა ქართველი საზოგადოებრიობის კულტურულ ცხოვრებაში. ეს არის სიმხეხი და ქართველი ხალხების ტრადიციული მეგობრობის გამოვლინება, ორი ეროვნული კულტურის ნამდვილი დაახლოების მაჩვენებელი.

გამოჩენილი სომეხი მხატვარი მარტიროს სერგის-ძე სარიანი სამართლიანად ითვლება ოომმე სომეხი ხალხის სიამაყეთ, მან სავსებით დამსახურებულად მოიპოვა გულწრფელი სიყვარული და აღიარება ქართველი საზოგადოებისა, რომლისთვისაც დიდი ხანია ცნობილი და ახლობელია უაღრესად ეროვნული შემოქმედი მხატვრის — ამიერკავკასიის მომმე ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის დაუღალავი მებრძოლის ცხოველმყოფელი ხელოვნება.

მიზვდებათ თუ არა აღორძინებული სომხეთის დედაქალაქ ერევანში, მაშინვე გადახსენდებათ, რომ ამ მშვენიერ ქალაქში უკვე დიდი ხანია ცხოვრობს, შემოქმედებითს მუშაობას და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა სომხეთის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სტალინური პრემიის ლაურეატი მარტიროს სარიანი.

როდესაც პირველად თვალწინ გადადგეშლებათ სომხეთის მთის იშვიათი სილამაზის პეიზაჟი — მცხუნვარე მზით გასხივოსნებული არარატის ნედი, სევანის ტბის მოლივლივე ზედაპირი, არ შეიძლება არ გაგახსენდეთ სარიანის პეიზაჟები, რომლებითაც სიკაპუკის წლებიდანვე მხატვარი უმღერის თავისი სამშობლოს ბუნებას.

სარიანის ნაწარმოებთა გამოფენა, რომელიც თბილისში მოეწყო მხატვრის დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით, საკმაო სისრულით ასახავს დიდი შემოქმედის გაბედული ძიებებითა და სახელოვანი გამარჯვებებით მდიდარ გზას. აქ შეგიძლიათ განვრიტოთ სარიანის შემოქმედებითი აზროვნების მთელი ცხოველმყოფელი სამართლე, იგრძნოთ მხატვრის ინდივიდუალური წრის მთელი სილამაზე, ნახოთ მისი შემოქმედების მწვერვალები და ზოგიერთი მარცხიც, რაც თან ახლდა მხატვრის ფართო შემოქმედებითს გზას.

დეკორატიული მოტივების უაღრესად პირობითად გადაწყვეტიდან, რაც ახასიათებს სარიანის ადრინდელი პერიოდის შემოქმედებას, სომხური პეიზაჟის მარადულ ასახვამდე ოღლი გზა როდია განვლილი. მაგრამ მარტიროს სარიანი დიდი მხატვრის მგზნებარე გული, ცრობისმოყვარე თვალით და შთაგონებული სულით ერთი პირველთაგანი ჩადგა მოწინავე საბჭოთა მხატვრების რიგებში და თავისი ხალისიანი ფუნჯის მთელი სიძლიერე წარმართა ხელოვნებაში ახალი ამოცანების გადაჭრისაკენ. ესმახურება რა სოციალისტური რეალიზმის მაღალ იდეებს, იგი მთელ თავის უნარს, კოლოსალურ ენერგიას ახმარს თავის სამშობლოს, საბჭოთა სომხეთის ხალხის კულტურის აყვავების საქმეს.

სარიანის მიერ განვლილი ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი გზა — ეს არის მხატვრის მიწმრაფება შექმნას ჭეშმარიტად მხატვრულად განზოგადებული ეპიური ტილოები. გამოჩენილი ოსტატის შემოქმედებითი დიალექტიკა ფართო და მრავალფეროვანი იყო და არის. მხატვრის ნაწარმოებთა გამოფენაზე სარიანისეულად მზით გაკაშკაშებულ სომხურ პეიზაჟებთან ერთად თითქმის თანაბარი ადგილი უჭირავთ სომხეთის მოწინავე ადამიანთა ოპტიმიზმით შთაგონებულ პორტრეტებს, სომხური ხილის და სომხეთის მიწაწყლის ყვავილთა ნატიურმორტებს, რომლებიც დიდი სულიერი მდელვარებით არის შესრულებული.

სარიანის შემოქმედებაში ასევე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მის ნამუშევრებს წიგნის გრაფიკის, მონუმენტალურ-დეკორაციული და თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების დარგში.

ფასდაუდებელია მარტიროს სარიანის დამსახურება თავისი ხალხის სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში. მისი ძზარდი ოსტატობა დიდად უწყობს ხელს საბჭოთა სახვითი ხელოვნების შემდგომ აღმავლობასაც.

უეჭველია, გამოჩენილი საბჭოთა მხატვრის მარტიროს სარიანის ნაწარმოებთა გამოფენის მოწყობა საქართველოს დედაქალაქში, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს, ხელს შეუწყობს საქართველოს მხატვართა შემოქმედებითი გამოცდილების გამდიდრებას, აგრეთვე სამსახურს გაუწევს ომმე სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

მხატვარი ქ. ჯანაძეტაძე.

• • •

სურათზე: სომხეთის სსრ სახალხო მხატვარი მ. სარიანი (ცენტრში) სურათების გალერეაში ესაუბრება საქართველოს სსრ ხელოვნების მუშაკებს.

უოტო ვ. გინზბურგისა.

„ბულგანინის მიერ ინსპექციის ამერიკული კრიტიკას ლონდონში მოწონებით შეხვდნენ"

ინგლისის გაზეთები ნ. ა. ბულგანინის წერილის შესახებ პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი

ლონდონი, 23 სექტემბერი. (საკდესი). ლონდონის გაშინდელი გაზეთები დიდ ყურადღებას აქცევენ ნ. ა. ბულგანინის წერილს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი. „დეილი მეილი", „დეილი ჰერალდი", „ნიუს ქრონიკლი", „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" თვალსაჩინო ადგილებზე მოათავსეს საგანგებო ცნობები, რომლებშიც მოყვანილია წერილის ძირითადი პუნქტები.

„ტაიმსი" ნ. ა. ბულგანინის წერილი მთლიანად დაბეჭდა. გაზეთის დიპლომატიური მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს ჯერ არ ჰქონია შესაძლებლობა კომენტარი გაეკეთებინა ბულგანინის წერილისათვის და ამასთან ერთად აცხადებს, რომ „საგარეო საქმეთა სამინისტროში მას შეხვდებიან როგორც მოწონებით, ისე კრიტიკითაც".

მიმომხილველი აცხადებს, რომ ნ. ა. ბულგანინის წერილს ახასიათებს „ზომიერი ტონი— იმ ადამიანის ტონი, რომელსაც სურს აწარმოოს მოლაპარაკება ან ყოველ შემთხვევაში განაგრძოს მოლაპარაკება გონივრულ პირობებზე, ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით".

შემდეგ მიმომხილველი წერს: „...არსებითად, ამ წერილში გამოცხადებია შეერთებული შტატების წინადადებათა სუსტი ადგილები. იმის გაცვლად, რომ უარეყო ეიზენჰაუერის გეგმა შეიარაღებული ძალების შესახებ ცნობების გაცვლისა და აეროფოტოგადაღების შესახებ, წერილი აღნიშნავს, და საკმაოდ სამართლიანად, რომ შეერთებული შტატები თავისი წარმომადგენლის სტასენის პირით განუწყვეტლივ ხაზგასმით აღნიშნავენ ეიზენჰაუერის გეგმის უპირატესობას, მაგრამ არ ამბობენ, რომ საჭიროა შეიარაღების შემცირება. ბულგანინი ახლა, არსებითად, უპასუხებს, რომ ეიზენჰაუერის გეგმა განიარაღების პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა, რომ მასში არის მთელი რიგი აშკარა ნაკლოვანებანი, რომ საკმარისი არ არის, მაგალითად, დიფერენციალ-მეხდერო ინფორმაციის გაცვლა მხოლოდ ორ სახელმწიფოს შორის და გამოვიტანოთ მათი მოკავშირეები, რომ ინფორმაცია უნდა ეხებოდეს არა მარტო ჩვეულებრივ შეიარაღებას, არამედ ატომურ იარაღსაც, და რომ აეროფოტოგადაღება უნდა შეიცავდეს ამერიკის ბაზების აეროფოტოგადაღებას მთელ მსოფლიოში და არა მარტო შეერთებულ შტატებში.

მაგრამ წერილის მთავარი და ყველაზე დამაჯერებელი პუნქტი ის არის, რომ შეერთებულ შტატებს ჯერ კიდევ ნათლად არ გამოუთქვამთ თავიანთი პოზიცია შეიარაღებული ძალების საერთო შემცირების საკითხში, რომელიც წამოაყენეს ჯერ ინგლისმა და საფრანგეთმა, ხოლო შემდეგ რუსეთმა საბჭოთა კავშირის 10 მაისის წინადადებებში; ამას წინათ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტში შექმნეს შთაბეჭდილება, რომ ისინი არ არიან დაინტერესებულნი ასეთი წინადადებებით. უკეთესი იქნებოდა, აღნიშნავს ბულგანინი, ეენევის თათბირის შემდეგ საერთოდ დავთანხმებულყავით ასეთ შემცირებაზე (რომლის შედეგად რუსეთის, ჩინეთისა და შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში იქნებოდა 1.5 მილიონი კაცი, ხოლო ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებში — 650 ათასი კაცი) და შეეთანხმებულყავით ატომგულის იარაღის გამოყენების აკრძალვის ვადების შესახებ. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ინგლის-საფრანგეთისა და საბჭოთა წინადადებებში არის საერთო აზრი, რომ ატომგულის იარაღის გამოყენების აკრძალვის ვადების შესახებ. „ოფიციალური ინფორმაციის ნაკლებობა უნდა დაიწყოს მაშინ, როცა ჩვეულებრივი საბჭოების იარაღის შემცირება განხორციელდება სამი მეოთხედით".

ბარიზი, 25 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ლონდონიდან იუწყება, ნ. ა. ბულგანინის წერილმა პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი „დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლონდონში როგორც თავისი შინაარსით, ისე ფორმით".

აღნიშნავს რა, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში უარს ამბობენ ოფიციალური კომენტარი გაუკეთონ წერილს, რომელიც გაეგზავნა „უცხოეთის ერთი სახელმწიფოს მეთაურის მიერ მეორე სახელმწიფოს მეთაურს", კორესპონდენტი აცხადებს, რომ ინგლისის დედაქალაქის ავტორიტეტიან წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ წერილის „ზომიერ და გონივრულ" ტონს, აგრეთვე ხელოვნებას, რომლითაც განვითარებულია საბჭოთა მოსაზრებანი.

რაც შეეხება არსს, განაგრძობს კორესპონდენტი, შესამჩნევია საბჭოთა შენიშვნების დასაბუთება იმის შესახებ, რომ შეერთებულ შტატებს დღემდე არ გაუტკვევიათ თავიანთი საბოლოო პოზიცია შეიარაღებული ძალების რიცხვისა და შეიარაღების შემცირების საკითხში, რომელიც წამოაყენეს საფრანგეთმა და ინგლისმა და მიიღო საბჭოთა კავშირმა მიმდინარე წლის მაისში.

ლონდონი, 25 სექტემბერი. (საკდესი). ლონდონის კვირის გაზეთები აღნიშნავენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილის დიდ მნიშვნელობას მონწოდებული საერთაშორისო პრობლემების შესაფერ გადაწყვეტილებათა ძიებაში.

„სანდი ტაიმსის" მიმომხილველის სიტყვით, „ბულგანინის წერილი, უაღრესად კარგად შედგენილი, გვიჩვენებს იმ ფაქტს, რომ შეერთებული შტატები ცდილობენ „გაყინონ" განიარაღების ყველა გეგმა, გარდა ეიზენჰაუერის წინადადებისა რუსეთთან სამხედრო ცნობების გაცვლისა და ურთიერთ საჰაეროო დაზვერვის შესახებ".

გაზეთ „ობსერვერის" დიპლომატიური მიმომხილველი წერს: „ლონდონში აღიარებენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის გადასინჯვა აუცილებელი გახდა ეიზენჰაუერისადმი ბულგანინის წერილთან დაკავშირებით, რომელშიც ბულგანინი ზრდილობიანად, მაგრამ მტკიცედ აღნიშნავს, რომ ამერიკელები გვერდს უვლიან ცენტრალურ საკითხს განიარაღების შესახებ..."

„ბულგანინის მიერ ინსპექციის ამერიკული გეგმის კრიტიკას, — განაგრძობს მიმომხილველი, — ლონდონში მოწონებით შეხვდნენ იმდენად, რამდენადაც მას შეუძლია აიძულოს ეიზენჰაუერის მთავრობა დაუშვას მიწაზე და თავისი წინადადებანი ინსპექციის შესახებ დაუკავშიროს განიარაღების ფაქტიურ პროგრამას".

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ნ. ა. ბულგანინის წერილს პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისადმი

ვარშავა, 25 სექტემბერი. (საკდესი). ლეს ყველა ცენტრალური გაზეთი პირველ გვერდზე აქვეყნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილს „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი. გაზეთი „ეიტე ვარშავა" ნ. ა. ბულგანინის წერილს ათავსებს დიდი სათაურით, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს ამ დოკუმენტის უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც ადვილებს შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღებას განიარაღების დიდნიშნულოვან საკითხზე.

ბუქარესტი, 25 სექტემბერი. (საკდესი). ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერისადმი. გაზეთი „სკანტეია" კომენტარს უკეთებს ამ დოკუმენტს და წერს: მკაფიო წერტილიდან განიარაღების პრობლემის დასაძლევად საბჭოთა კავშირმა ახალი ინიციატივა გამოიჩინა. ნ. ა. ბულგანინის წერილს, რომელიც შედგენილია საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებისათვის დამახასიათებელი გულწრფელობითა და გულთბილობით, განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი დაზუსტებანი შეაქვს როგორც საბჭოური ინფორმაციის გაცვლის საკითხში, ისე ატომეთ ეროფოტოგადაღების საკითხში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა წამოაყენა.

გაზეთი „რომინია ლიბერა" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნ. ა. ბულგანინის წერილი გამოხატავს საბჭოთა კავშირის მისწრაფებას დასახოს ახალი მიღწევების გზა საერთაშორისო დაძაბულობის შუნელების დარგში.

საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკების გამო

ლონდონი, 23 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ლონდონში გამოქვეყნდა შემდეგი ერთობლივი კომუნიკე საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკების შესახებ:

„22 სექტემბერს საბჭოთა კავშირისა და იაპონიის დელეგაციებს შორის გაიმართა ეზრთა გაზიარება მოლაპარაკების შემდგომი წარმოების წესის საკითხზე. მხარეები შეთანხმდნენ— გამოაცხადონ მოკლე ხნის შესვენება მოლაპარაკებაში იმასთან დაკავშირებით, რომ იაპონიის დელეგაციის მეთაური ბ-ნი მაცუმოტო ტოკიოს მიემგზავრება თავის მთავრობასთან საკონსულტაციოდ. მხარეები შეთანხმდნენ აგრეთვე, რომ მოლაპარაკება გაგრძელდება ბ-ნ მაცუმოტოს ლონდონში დაბრუნების შემდეგ. ბ-ნ მაცუმოტოს არყოფნის დროს, თუ საჭირო იქნა, მოლაპარაკება იწარმოებს საამისოდ უფლებამოსილთა შორის: სსრ კავშირის მხრივ— დიდ ბრიტანეთში სსრ კავშირის საგარეო დროებით რწმუნებულ ნ. ბელოზოსტაკოვსა და იაპონიის მხრივ — იაპონიის დელეგაციის უფროსის მრჩეველ მ. ტაკასაკის შორის".

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის სავაჭრო ურთიერთობის გამო

მოსკოვში წარმატებით დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის სავაჭრო მოლაპარაკება და 23 სექტემბერს ხელი მოაწერეს ოქმს სსრ კავშირისა და ინდოეთის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ 1956 წელს.

ოქმის შესაბამისად საბჭოთა კავშირი ინდოეთის მიაწოდებს ნავთობპროდუქტებს, ცემენტს, შავ ლითონებს, ავტომობილებსა და სხვა საქონელს.

ინდოეთი საბჭოთა კავშირი ინდოეთის მიაწოდებს ბამბის ნაწილ, ეენევის თათბირის შემდეგ, ეენევის თათბირის ასეთ შემცირებაზე (რომლის შედეგად რუსეთის, ჩინეთისა და შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებში — 1.5 მილიონი კაცი, ხოლო ინგლისისა და საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებში — 650 ათასი კაცი) და შეეთანხმებულყავით ატომგულის იარაღის გამოყენების აკრძალვის ვადების შესახებ. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ინგლის-საფრანგეთისა და საბჭოთა წინადადებებში არის საერთო აზრი, რომ ატომგულის იარაღის გამოყენების აკრძალვის ვადების შესახებ. „ოფიციალური ინფორმაციის ნაკლებობა უნდა დაიწყოს მაშინ, როცა ჩვეულებრივი საბჭოების იარაღის შემცირება განხორციელდება სამი მეოთხედით".

ბარიზი, 25 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ლონდონიდან იუწყება, ნ. ა. ბულგანინის წერილმა პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი „დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლონდონში როგორც თავისი შინაარსით, ისე ფორმით".

აღნიშნავს რა, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში უარს ამბობენ ოფიციალური კომენტარი გაუკეთონ წერილს, რომელიც გაეგზავნა „უცხოეთის ერთი სახელმწიფოს მეთაურის მიერ მეორე სახელმწიფოს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მოიწონა ხელშეკრულება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ

ბერლინი, 23 სექტემბერი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიერ-მინისტრთან არსებულმა პრესის უწყებამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ გუშინ გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელიც მიეძღვნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა დელეგაციების მოსკოვის მოლაპარაკების შედეგების განხილვას. სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა პრემიერ-მინისტრ ო. გროტეოლის თავმჯდომარეობით, მოსმენილ იქნა პრემიერ-მინისტრის მოადგილის ო. ნუშკეს ანგარიში მოსკოვის მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

ყოველმხრივი განხილვის შემდეგ მინისტრთა საბჭომ მოიწონა მუშაობა, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციამ გასწია მოსკოვში მოლაპარაკების დროს, და ამ მოლაპარაკების შედეგები.

მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 1955 წლის 20 სექტემბერს მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ურთიერთობის შესახებ დასამტკიცებლად წარუდგინოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატას.

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ბუნდესტაგმა მოიწონა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის

ბონი, 23 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ბუნდესტაგმა ერთხმად მოიწონა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის.

საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა საფრანგეთის პარლამენტის დელეგაცია

25 სექტემბერს დილით საფრანგეთის პარლამენტის დელეგაციის წევრთა ჯგუფი საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის პიერ შნეიტერის მეთაურობით ლენინგრადიდან მოსკოვს დაბრუნდა.

იმავე დღეს საფრანგეთის პარლამენტის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით, მოსკოვიდან თვითმფრინავით გაემგზავრა სამშობლოში. საბჭოთა კავშირში დარჩნენ დელეგაციის წევრები რაიმონ შპიტლენი, ჟან ჰიუპა, რობერ ობე. რამდენიმე დღის განმავლობაში ისინი გაეცნობიან ურალის სამრეწველო საწარმოებს.

სსრ კავშირში ყოფნის დროს საფრანგეთის პარლამენტის წარმომადგენლები იყვნენ სტალინგრადში, თბილისში, კიევში, სოჭში, ლენინგრადში. სტუმრები ეცნობოდნენ სამრეწველო საწარმოებს, სოფლის მეურნეობას, კულტურულ დაწესებულებებს, ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს.

საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატები მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, მათ საუბარი ჰქონდათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეებთან ა. პ. ვოლკოვთან და ვ. ტ. ლაცისთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებთან და წევრებთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.

ნუკოვოს აეროპორტში, რომელიც მორთული იყო საფრანგეთის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, საფრანგეთის პარლამენტის დელეგაცია გააცილეს მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ტ. ლაცისმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

პარლამენტის დელეგაციასთან ერთად სამშობლოში გაემგზავრნენ ფრანგი ჟურნალისტები, რომლებიც სსრ კავშირში იყვნენ საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატებთან ერთად.

მოსკოველმა პიონერებმა საფრანგეთის პარლამენტარებს მიართვეს თაიგულები, სთხოვეს გადასცენ სალამი საფრანგეთის ბავშვებს.

მოსკოვიდან გაფრენის წინ დელეგაციის მეთაურმა პიერ შნეიტერმა სიტყვით მიმართა ა. პ. ვოლკოვსა და ვ. ტ. ლაცისს. მან გულთბილი მადლობა გადაუხადა მათ საბჭოთა კავშირში მოწვევისთვის და იმის შესაძლებლობისათვის, რომ ვასცნობოდნენ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას. მან აღნიშნა, რომ დელეგაციის წევრებს პირადი კონტაქტი და შეხვედრები ჰქონდათ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებთან, ოფიციალურ პირებთან და რიგით საბჭოთა ადამიანებთან. ჩვენ დავრწმუნდით, რომ თქვენ ესწრაფვით შვიდიდის საქმის განმტკიცებას, თქვა პიერ შნეიტერმა. მე გთხოვთ ჩვენი მზურვალე მადლობა გადასცეთ ყველას, ვინც დაგვეხმარა საბჭოთა კავშირში ამ შესანიშნავი მოგზაურობის მოწყობაში. ჩვენ ამას ვიცნობენ საფრანგეთის ხალხს. მოგელოთ პარიზში! ყველანი დიდი კმაყოფილებით შეგხვდებით ჩვენს სამშობლოში.

შემდეგ ფრანგი ჟურნალისტების სახელით სიტყვა წარმოთქვა გაზეთ „პარი-პრეს-ენტერნასიონალის" წარმომადგენელმა მ. ბრომბერჟემ, მან მადლობა გადაიხადა იმ მიღებისათვის, რომელიც ფრანგ ჟურნალისტებს აღმოუჩინეს სსრ კავშირში. (საკდესი).

ადგილობრივი ამბები

ქალაქ ბორჯომის ბიბლიოთეკა

ბორჯომის ბიბლიოთეკა ... ...

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესიაზე

22 სექტემბრის დილის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესიაზე დაიწყო საერთო პოლიტიკური დისკუსია. პირველმა აღლო სიტყვა ბრაზილიის წარმომადგენელმა ფრეიტას ვალემ.

შემდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაური სახელმწიფო მდივანი დალესი. ახლანდელი სესია, თქვა მან, არა მარტო აღნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობის ათი წლისთავს, არამედ აგრეთვე არის იმის კეთილსასურველი ნიშანები, რომ შემდეგმა ათეულმა წელმა ნამდვილად შეიძლება ჩაიაროს უფრო მეტი ჰარმონიით, ვიდრე პირველმა ჩაიარა. რა თქმა უნდა, ჩვენ ძალგვიძს მივაღწიოთ ამას.

შეეხო რა ახალი წევრების მიღების საკითხს, დალესმა გამოთქვა იმედი, რომ X სესიის განმავლობაში უშიშროების საბჭო და გენერალური ასამბლეა განახორციელებენ მოქმედებას, რომელიც საჭიროა „არჩევის ღირსი“ ყველა ქვეყნის მისაღებად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

დალესმა მხარი დაუჭირა იმას, რომ გენერალური ასამბლეის ამ სესიამ განიხილოს წესდების გადასასინჯად კონფერენციის მოწვევის საკითხი.

შეეხო რა სესიიდან სესიამდე მომხდარ ამბებს, დალესმა თქვა, რომ ამ ამბებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი იმას, რომ მიღწეულ იქნას წესდების მიზნები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დარგში სამართლიანობის პრინციპებისა და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.

მაგრამ ასეთ ამბებს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა მიაკუთვნა აგრეთვე ისეთი ფაქტები, როგორიც არის დასავლეთ გერმანიის შესვლა ნატოსა და ბრიუსელის ხელშეკრულებაში.

მოაგონა რა დამსწრეთ ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადება, დალესმა განაგრძო:

მალე ამ ამბების შემდეგ გერმანიისა და ავსტრიის მიმართ საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, საბჭოთა კავშირმა და შეერთებულმა შტატებმა განახორციელეს ახალი ღონისძიებანი იმის საფრთხის შენელებისა და ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხების მოლაპარაკების გზით გადაჭრის მიმართულებით.

მიმდინარე წლის მაისში დასავლეთის სამმა სახელმწიფომ წამოაყენა წინადადება მიგვეღო ღონისძიებანი „ორ სტადიად“. „პირველი სტადია“ უნდა ყოფილიყო თვით მთავრობათა მეთაურების თათბირი „ახალი იმპულსის“ უზრუნველყოფის მიზნით „მეორე სტადიისათვის“, რომელზეც საჭიროა დაიწყოს პრობლემათა არსის დეტალურად შესწავლა.

ამ პროგრამის პირველი სტადია განხორციელდა ჟენევაში მიმდინარე წლის ივლისში, როცა მოხდა მთავრობათა მეთაურების შეხვედრა.

ახლა ჩვენ შევდიოართ „მეორე სტადიაში“, რომლის შესახებ მიღწეული იყო შეთანხმება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტი უკვე განიხილავს იდეებს, რომლებიც ჟენევაში გამოითქვა განიარაღების შესახებ.

შემდეგ თვეში საფრანგეთის, შეერთებული სამეფოს, საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრები შეხვდებიან ერთმანეთს ჟენევაში. დასავლეთის სახელმწიფოები ითანამშრომლებენ, სადაც ეს საჭირო იქნება, გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან და თავიანთ სხვა პარტნიორებთან ნატოს ხაზით.

რათა დაახლოონ აზრთა ეს შეუთანხმებლობა, დასავლეთის სახელმწიფოები მზად არიან წამოაყენონ ევროპის უშიშროების საყოველთაო კეგმა, რომელიც საბჭოთა კავშირს მისცემს მნიშვნელოვან დამატებითს გარანტიებს. ამავე დროს არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები, შეერთებული შტატების ჩათვლით, მუდამ მზად იქნებიან გაიფართოონ თავიანთი ახლანდელი ვალდებულებანი იმისათვის, რომ ინგლისში გაუწიონ საბჭოთა კავშირის დაინტერესებას ევროპის უშიშროებით.

ამქამად არსებული შესაძლებლობა იმდენად არაჩვეულებრივია და იმდენ შესაძლო კონსტრუქციულ გადაწყვეტას შეიცავს, რომ შეგვიძლია ითქვა ითქვნოთო, რომ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოსაკალი თათბირი იპოვნის მტკიცე საფუძველს გერმანიის გაერთიანებისათვის ევროპის უშიშროების ფარგლებში.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაური კვლავ შეეხო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და „საერთაშორისო კომუნიზმის“ საკითხს, განაცხადა რა, რომ ეს „პრობლემები“ თითქოს საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზია და ხელს უშლის „მთავრობების გულითად ურთიერთობას“.

შემდეგ დალესი შეეხო ამერიკის კონტინენტზე, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში არსებულ მდგომარეობას. კერძოდ იგი აშტაიცებდა, რომ სეატოს „თავდაცვითი ხასიათი“ აქვს.

ბანდუნგის კონფერენციაზე ბატონმა ჯოუ ენ-ლაიმ წამოაყენა წინადადება შეერთებულ შტატებთან უშუალო მოლაპარაკების წარმოების შესახებ. მე მაშინვე აღვნიშნე, რომ ეს წინადადება მისაღებია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, რამდენადაც ჩვენ საქმე გვექნება მხოლოდ საკითხებთან, რომლებიც ჩვენს ორივე ქვეყანას შეეხება და არ ეხება მესამე მხარეთა უფლებებს. ეს შენიშვნა, კერძოდ, რამდენადაც ეს შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ეხებოდა ჩინეთის რესპუბლიკას, რომლის მიმართ ჩვენ ლოიალური ვართ, როგორც ჩვენი დიდი ხნის მეგობრისა და მოკავშირის მიმართ.

დაახლოებით 15 თვის წინათ შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს მოლაპარაკება ჟენევაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი მოქალაქეების დაბრუნების საკითხზე. ბატონი ჯოუ ენ-ლაის განცხადების, რომელიც მან ბანდუნგში გააკეთა, და ჩემი პასუხის შედეგად, ეს მოლაპარაკება განახლდა ამა წლის აგვისტოში იმისათვის, რომ განვიხილოთ, უწინარეს ყოვლისა, ამერიკელ მოქალაქეთა განთავისუფლებისა და დაბრუნების საკითხი და შემდეგ სხვა პრაქტიკული საკითხები, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ ჩვენს ორ ქვეყანასთან...

შეეხო რა მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხს, დალესმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებას ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შექმნის შესახებ მოჰყვა იმ სტატუტის პროექტის მომზადება, რომელიც ქმნის ასეთ საგენტოს. ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო კონფერენციამ შესანიშნავი წარმატებით ჩაიარა ჟენევაში გასულ თვეში.

ამ-ამად, თქვა დალესმა, საბჭოთა კავშირი თანამშრომლობის დიდ მიდრეკილებას იჩენს, და ჩვენ სიხარულით აღვნიშნავთ პრემიერ ბულგანინის ამასწინანდელ წინადადებას — გამოიყოს ხელჩაღი მასალები განზრახული საერთაშორისო სააგენტოს მუშაობისათვის, როცა იგი შეიქმნება.

შეეხო რა შეიარაღების შეზღუდვის საკითხს, დალესმა მოაგონა სესიის პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადება ჟენევის თათბირზე იმის შესახებ, რომ სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერთმანეთს მიაწოდონ ინფორმაცია თავიანთ სამხედრო ფორმირებათა შესახებ და შექმნან შესაძლებლობა, რომ განახორციელონ ურთიერთ შეუზღუდველი საჰაერო დაზვერვა.

საჰაერო ინსპექცია, რა თქმა უნდა, ვერ გვიჩვენებს ყველაფერს ან არ იქნება მიჩნეული ინსპექციის საბოლოო ყოვლისმომცველ სისტემად. მაგრამ საჰაერო ინსპექცია აღმოაჩენს საკმაოდ, რათა დიდი რისკი გამოიჩიცხოს.

როგორც ასეთი, იგი დასახავს შემდგომი ნაბიჯების გზას ინსპექციისა და განიარაღების მიმართულებით, რომლებიც ყველა ჩვენ, — და მე გადაჭრით ვაკუთვნებ აქ შეერთებულ შტატებს, — გვსურს ვნახოთ განხორციელებული.

ხანგრძლივი გამოცდილება ნათელს ხდის, რომ როცა არის შერყეობის გრძნობა და როცა, მაშასადამე, შეიარაღება აუცილებელია, შეიარაღების შეზღუდვა ფაქტიურად მიუწვდომელი ხდება. შეიარაღების შემცირება შესაძლებელია, როცა შიში იფანტება და როცა შეიარაღება ნაკლებ საჭირო ხდება.

დარწმუნებული ვარ, რომ თუ შეერთებული შტატები ნებას დართავენ საბჭოთა კავშირს იფრინოს მათ ტერიტორიაზე და თუ საბჭოთა კავშირი ნებას დართავს შეერთებულ შტატებს იფრინონ მის ტერიტორიაზე, მაშინ ყველა იგრძნობს, რომ ამ ქვეყნებმა ბევრი რამ გააკეთეს, რათა ცხადყონ, რომ არც ერთ მხარეს არა აქვს აგრესიული განზრახვა მეორის წინააღმდეგ. მაშინ, როგორც პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თავის სიტყვაში აღნიშნა ჟენევაში, უფრო ადვილი იქნება გადავიდეთ ინსპექციისა და განიარაღების ყოვლისმომცველ მეცნიერულ სისტემაზე.

დალესმა აღნიშნა, რომ ჟენევის თათბირის შედეგად ბატონს ნამდვილად ახალი სულისკვეთება. მეტი მოქნილობა და ნაკლები დაძაბულობაა საერთაშორისო ურთიერთობაში.

მინდა ვთქვა, რომ თუ „ჟენევის სულისკვეთება“ მუდმივი იქნება, მაშინ მთელი მსოფლიო მოიგებს. ეს თათბირი „ზეიდ ფენებში“, თუ იგი უნდა იყოს ისტორიული და არა ეპიზოდური, უნდა მოასწავებდეს მშვიდობიანი ცვლილებების ახალ ერას.

ეს ერა არ იქნება სიმშვიდისა და უძრაობის ერა იმ აზრით, რომ სტატუს-კვო მისი მრავალი უსამართლობით მიღებულია როგორც მუდმივი. ეს უნდა იყოს ცვლილებების ერა და მას ეკნება თავისი დაძაბულობის მომენტები. მაგრამ ხალხები და მთავრობები უარს იტყვიან ომებსა და ძირგამომთხრელ საქმიანობაზე, როგორც თავიანთი მიზნების მიღწევის საშუალებებზე. ისინი მიიღებენ თავიანთი კანონიერი ეროვნული მისწრაფების განხორციელების ჩვეულებრივ ევოლუციას. ისინი ერთმანეთს შორის განავითარებენ ფართო ეკონომიურ ურთიერთობას. ისინი სულ უფრო მეტად სცემენ პატივს ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს. და ადამიანის ღონისძიებანი მოხმარდება იმას, რაც შემოქმედებითი და კეთილია.

დალესის შემდეგ გამოვიდა კოსტა-რიკის წარმომადგენელი ნუნიესი, ეგვიპტის წარმომადგენელი ფაჯზი და დომინგოს რესპუბლიკის წარმომადგენელი დიას-ორდონიესი.

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის პლენარული სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია. სიტყვები წარმოთქვეს ეკვადორისა და ახალი ზელანდიის წარმომადგენლებმა.

23 სექტემბრის დღის სხდომა

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის 23 სექტემბრის დღის სხდომა მიეძღვნა X სესიის დღის წესრიგის დამტკიცებას. განუხილველად დამტკიცდა მეტი წილი პუნქტები, რომლებიც რეკომენდებულია გენერალური კომიტეტის მიერ დღის წესრიგში შესატანად, მაგრამ ამ საკითხებზე, რომლებმაც კამათი გამოიწვია გენერალურ კომიტეტში, განახლდა კამათი.

კვიპროსის საკითხზე, რომლის შესახებაც გენერალური კომიტეტის უმრავლესობამ რეკომენდაცია მისცა არ შეეტანათ ასამბლეის დღის წესრიგში, გამოვიდნენ საბერძნეთის, ინგლისის, თურქეთის, პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

საბერძნეთის დელეგაციის მეთაურმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა სტეფანოპულოსმა განაცხადა, რომ საბერძნეთი ვერ დეთანხმება იმათ, ვინც მოითხოვს უარის თქმას ხალხებისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭების პრინციპზე „სტრატეგიული მოსაზრებების“ საბაბით. თუ ხალხს უარს ეუბნებიან თავისუფლების უფლებაზე, თქვა მან, მის წინაშე მხოლოდ ორი გზა— ძალადობის გზა და გაერთიანებული ერების გზა. და თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უარს ამბობს მოუსმინოს ხალხს, რომელიც მოითხოვს დამოუკიდებლობის უფლებას, ეს მხოლოდ გაამწვავებს საკითხს.

დასასრულ სტეფანეპულოსმა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბერძნეთი მხოლოდ იცავს კვიპროსის ხალხის მოთხოვნას თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი და რომ საბერძნეთი პატივს სცემს კვიპროსის მოსახლეობის გადაწყვეტილებას, როგორიც უნდა იყოს ეს გადაწყვეტილება.

ინგლისის, თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელნი, რომლებმაც გააღშერეს ასამბლეის დღის წესრიგში კვიპროსის საკითხის შეტანის წინააღმდეგ, აცხადებდნენ, რომ ამ საკითხის განხილვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ დაინტერესებულ ქვეყნების ურთიერთობის შემდგომი გაფუჭება და რომ ასეთი საკითხი, როგორც ინგლისის წარმომადგენელმა თქვა, უკეთესი „გადაიჭრას ჩუმად“.

ინდოეთის, ერაყისა და ტაილანდის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს თვითგამორკვევის პრინციპს და ამასთან ერთად ეშინა გამოთქვეს იმის მიზანშეწონილობაში, რომ კვიპროსის საკითხი განხილულ იქნას გენერალური ასამბლეის ამ სესიაზე.

დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანას მხარი დაუჭირეს პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და ეკვადორის წარმომადგენლებმა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა განაცხადა, რომ იგი არ შეუდგება არსებითად კვიპროსის საკითხის განხილვას და დასჯერდება მხოლოდ დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის საკმის ფორმალურ მხარეს. კვიპროსის საკითხი, თქვა ვ. ვ. კუზნეცოვმა, შეტანილი იყო გენერალური ასამბლეის IX სესიის დღის წესრიგში. მაგრამ, როგორც ცნობილია, იგი არ გადაჭრილა. საბერძნეთის დელეგაციის ახალი თხოვნა, რომ ეს საკითხი შეიტანონ დღის წესრიგში, გამოწვეულია იმით, რომ მდგომარეობა კვიპროსზე არა თუ არ გაუმჯობესებულა, არამედ კვლავ უარესდება, ხოლო დაინტერესებული ქვეყნების ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავებულა გახდა.

ამის გამო, თქვა დასასრულ ვ. ვ. კუზნეცოვმა, სსრ კავშირის დელეგაცია მხარს უჭერს წინადადებას, რომ გენერალური ასამბლეის ამ სესიის დღის წესრიგში შეტანილ და გულდასმით განხილულ იქნას საბერძნეთის დელეგაციის მიერ წარმოდგენილი საკითხი კუნძულ კვიპროსის მოსახლეობისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლების პრინციპის გამოყენების შესახებ.

ეკვადორის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არავითარი საფუძველი არ არის უარი ვთქვათ კვიპროსის საკითხის განხილვაზე ამ მომენტში, რამდენადაც ჩაიფუშა პირდაპირი მოლაპარაკების გზით მისი გადაჭრის ცდები. არ შეიძლება უარი ეთქვას პატარა ხალხს, რომელიც კარს გვიკაკუნებს და გვეკითხება, გვჯერა თუ არა ის, რაც ჩვენს წესდებაშია ჩაწერილი, განაცხადა მან.

სახელობითი კენჭისყრის შედეგად ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება არ შეეტანოს დღის წესრიგში კვიპროსის საკითხი. 28 დელეგაციამ ხმა მისცა ამ გადაწყვეტილების სასარგებლოდ (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, თურქეთი და სხვ.), 22 დელეგაციამ — წინააღმდეგ (საბერძნეთი, სსრ კავშირი, ეკვადორი, ეგვიპტე, ბელორუსიის სსრ, პოლონეთი, უკრაინის სსრ, ავღანეთი და სხვ.), 10 დელეგაციამ თავი შეიკავა (ინდოეთი, ბირმა, ინდონეზია, ფილიპინები და სხვ.).

გენერალური ასამბლეის შემდეგი პლენარული სხდომა გაიმართება 26 სექტემბერს.

3. მ. მოლოტოვმა საღამო გამართა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის დელეგაციების პატივსაცემად

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. (საკდესი). 24 სექტემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა სადილი გამართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დელეგაციების პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ პოლონეთის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. ნაშკოვსკი, დესპანი ი. კაც-სუხი, მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან გ. ბირეცკი; ჩეხოსლოვაკიის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. დავიდი, ელჩი ი. ნოსეკი, მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ი. ულრიხი; იუგოსლავიის მხრივ — საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი ჯ. პოპოვიჩი, ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ლ. მატესი, მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ი. ბრილეი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. თ. პალამარჩუკი, ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ვ. კისელიოვი, სსრ კავშირის დელეგაციის წევრები ი. ი. მატლისი, ი. ა. მალიკი და ა. ა. სობოლევი, სსრ კავშირის დელეგაციის წევრების მოადგილეები გ. ნ. ზარუბინი, პ. ნ. კუმიკინი, ვ. დ. კუპრაძე, ტ. ა. ნიკოლაევა და ტ. ტ. ტაეთბაევი, სსრ კავშირის დელეგაციის მრჩეველი ლ. თ. ილიჩოვი, უკრაინის სსრ დელეგაციის წევრი ი. ზ. შტოკალო, ბელორუსიის სსრ დელეგაციის წევრი მ. ტ. ლინკოვი.

ინდოეთის გაზეთები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლის შესახებ

დელი, 25 სექტემბერი. (საკდესი). ყველა გაზეთი ათავსებს ცნობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვ. მ. მოლოტოვმა მაღალი შეფასება მისცა ინდოეთის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მშვიდობის შენარჩუნება. დამახასიათებელ სათაურს იძლევა გაზეთი „ინდიან ექსპრესი“: „მოლოტოვი მხარს უჭერს ნერუს წინადადებას შორეული აღმოსავლეთის საკითხთა თათბირის შესახებ. ინდოეთის მშვიდობიან ღონისძიებათა მაღალი შეფასება“.

ყველა გაზეთი ცნობას ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლის შესახებ აქვეყნებს თვალსაჩინო ადგილზე და დიდი სათაურებით.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ავადმყოფობა

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთები დენვერიდან (კოლორადოს შტატი) იუწყებიან, გუშინ 2 საათზე და 45 წუთზე ნიუ-იორკის დროით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ეიზენჰაუერს ჰქონდა გულის შეტევა (ტულის გვირგვინოვანი ძარღვების დაკობა).

დღეს პრეზიდენტის პრესის საკითხთა მდივანმა გააკეთა განცხადება სამი ექიმის სახელით, რომლებიც ეიზენჰაუერს მკურნალობენ, რომ პრეზიდენტმა შეტევა კარგად გადაიტანა და ახლა მას გართულება არა აქვს. სისხლის წნევა და პულსი მყარია.

პრემიერ-მინისტრ კეკონენის გამოსვლა

ჰელსინკი, 24 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ჰელსინკში გამართულ კრებაზე, რომელიც საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ ნიულანდის საოლქო ორგანიზაციამ მოაწყო, გამოვიდა პრემიერ-მინისტრი კეკონენი. თავისი სიტყვის ძირითადი ნაწილი მან მიუძღვნა საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკებას მოსკოვში. კეკონენმა აღნიშნა მოლაპარაკების მეგობრული ხასიათი და პორკალა-უდის ტერიტორიის დაბრუნების დიდი მნიშვნელობა ფინეთისათვის. ჩვენი ხალხის უდიდესმა ნაწილმა, თქვა მან, გამოთქვა კმაყოფილება მოსკოვის მოლაპარაკების შედეგების გამო.

კეკონენმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით ფინეთში გაიმართა გაცხოველებული დისკუსია, თუ ვისი დამსახურებაა საბჭოთა კავშირისადმი ფინეთის პოლიტიკის წარმატება. ამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა პრეზიდენტ პაასიკივის როლი და თქვა, რომ „პაასიკივის ხაზს“ მხარს უჭერენ ხალხის ფართო ფენები.

ნენის განცხადება

რომი, 24 სექტემბერი. (საკდესი). იტალიის სოციალისტური პარტიის მდივანმა პიეტრო ნენიმ 22 სექტემბერს პეკინში გამგზავრების წინ განცხადება გაუკეთა გაზეთ „პაეზ სერას“ კორესპონდენტს. მან თქვა, რომ მისმა გამგზავრებამ იტალიის საზოგადოებრიობის ყურადღება უნერარეს ყოვლისა იმიტომ მიიპყრო, რომ იგი ხორციელდება ახალ საერთაშორისო ვითარებაში, რომელსაც ახასიათებს მშვიდობის მიღწევის სერიოზული ცდა... ასეთ პირობებში, აღნიშნა ნენიმ, დაძაბულობის შენელების პოლიტიკის პერსპექტივები ობიექტურად სავსენ ახალ პრობლემებსა და ამოცანებს იტალიის „მოუხვევა საგარეო პოლიტიკის“ წინაშე.

ნენიმ აღნიშნა, რომ შესაძლებელი და საჭიროა ურთიერთობის გაუმჯობესება საბჭოთა კავშირთან და ამასთანავე უწოდა ისეთ მდგომარეობას, რომლის დროს იტალიას დღემდე ნორმალური არ გაუხდია დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა ჩინეთთან.

„მოხარული ვარ, — დასძინა ნენიმ, — რომ ჩემი გამგზავრება დასმარებას გამიწევს ხაზი გავუსვა ამ პრობლემების მნიშვნელობას და მივაქცევ მათ მთავრობის, პარლამენტისა და საზოგადოებრიობის ყურადღება“.

სპორტის ამოცანები

★ ★

უნგრეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მაჭიები

ბუდაპეშტი, 25 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა მიმდინარე წლის ერთ-ერთი თვალსაჩინო საფეხბურთო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველი ნაკრები გუნდები.

სახალხო სტადიონი, რომელიც 100 ათასამდე კაცს იტევს, გაჭედილია. სპპტეო ლოჟაში არიან უნგრეთის მშრომელთა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. მაყურებელთა შორის არიან უნგრეთის ჩამოსული საბჭოთა ტურისტების დიდი ჯგუფი, მრავალი სტუმარი ჩეხოსლოვაკიიდან, ავსტრიიდან, შვეიცარიიდან, ბელგიიდან, საფრანგეთიდან, დასავლეთ გერმანიიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ცხელი, უქარო, მზიანი ამინდია. ფეხბურთელები მოედანზე გამოდიან. შესრულდა სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. თამაშის პირველი წუთებიდანვე მწვავე ბრძოლა ჩაღდება. ურთიერთმეტეა ზედიზედ ხდება.

მე-20 წუთზე უნგრელთა ცენტრალური თავდამსხმელი მახოში პირისპირ დარჩა საბჭოთა მეკარესთან. მახოში ურტყამს ბურთს, მაგრამ იაშინმა გაბედული ნახტომით იხსნა თავისი გუნდი თითქოს გარდუვალი გოლისაგან.

საბჭოთა გუნდში ძნელია ვისიმე გამორჩევა, მაგრამ მოლიანად იგი გამოდის, როგორც შეთანხმებული, მტკიცე ნების კოლექტივი. პირველ ტაიმს შედეგი მაინც არ მოუცია.

თამაშის მეორე ნახევარში უნგრელთა გუნდმა მოთამაშე შეცვალა. მახოშეს ნაცვლად თამაშობს ტიხი. მასპინძლები შეტევას იწყებენ. საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიგერიეს ძლიერი შეტევა და მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე მოწინააღმდეგის კართან გავიდნენ. უნგრელი დამცველი უხეშად იქცევა. მსაჯი ნიშნავს საჯარიმო დარტყმას. პარტნიორის ფეხიდან ბურთი გადადის კუზნეცოვთან და იგი ზუსტი დარტყმით პირველ ბურთს ათავსებს მეკარის მხრიდან მარჯვენა კუთხეში. 1:0 სსრ კავშირის გუნდის სასარგებლოდ.

ამის შემდეგ უნგრელი ფეხბურთელები ცდილობენ იერიშის გაძლიერებას. მსაჯი რამდენჯერმე აჩერებს თამაშს და ნიშნავს საჯარიმო დარტყმას.

მეორე ტაიმის 41-ე წუთზე მსაჯი ნიშნავს 11-მეტრიან საჯარიმო დარტყმას საბჭოთა გუნდის კარში. მას ანაღდებს პუშკაში. ანგარიში ხდება 1:1.

...უკანასკნელი წუთია, უტევენ საბჭოთა ფეხბურთელები, მაგრამ მსაჯის სასტვენი იუწყება ამ დაძაბული მატჩის დამთავრებას ფრედ — 1:1.

სსრ კავშირის გუნდი თამაშობდა მიზანსწრაფულად, შეთანხმებულად და ტაქტიკურად სჯობდა მოწინააღმდეგეს. ყველა ეს თვისება ღირსეულად დაფასეს უნგრელმა მაყურებლებმა, რომლებიც ხშირად უკრავდნენ ტაშს საბჭოთა ფეხბურთელების ლამაზ კომბინაციებს.

მთელი მატჩის განმავლობაში უნგრეთის გუნდის კარში დანიშნული იყო 9 კუთხური დარტყმა, ხოლო საბჭოთა გუნდის კარში — 4 დარტყმა.

მატჩს სჯიდნენ ელისი, ბაქსტერი და ვინდლე (სამივე ინგლისიდან).

• • •

მოსკოვი, 25 სექტემბერი. „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეორე ნაკრები გუნდი შეხვდა საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებ გუნდს.

ფეხბურთის ათეულ ათასობით მოყვარული შეიკრიბა სტადიონის ტრიბუნებზე. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის სექციის თავმჯდომარემ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. გრანატკინმა. უნგრელ ფეხბურთელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის ფეხბურთის სექციის თავმჯდომარემ ანდრაშ ტერპიტკამ.

შესრულდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. საბჭოთა სპორტსმენებმა სტუმრებს ყვავილების თაიგულები მიართვეს.

უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 4:2 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ. (საკდესი).

„ბ“ კლასის გუნდების შეჯიბრება

კალინინგრადი, 24 სექტემბერი. აქ შედგა „ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების შეჯიბრება. თამაშობდნენ თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლისა და ქ. კალინინგრადის ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 1:0.

ვორონეჟი. 25 სექტემბერი. გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის ერეენის „სპარტაკისა“ და ქ. ვორონეჟის გუნდების მატჩი დამთავრდა ვორონეჟელ ფეხბურთელთა გამარჯვებით 3:0.

მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ გამარჯვება

25 სექტემბერი წყალბურთში შეჯიბრების უკანასკნელი დღე იყო. თბილისის დინამოელები შეხვდნენ ლვოველ თანაკლუბელებს და მეხუთე გამარჯვება (4:2) მოიპოვეს. მოსკოვის „ტორპედომ“ გათამაშების ცხრილში კიდევ 2 ქულა ჩაიწერა, დიდი ანგარიშით (8:0) მოუგო მინსკის ოფიცერთა სახლის გუნდს. ლენინგრადისა და ტალინის დინამოელთა მატჩში გაიმარჯვეს ტალინის წყალბურთელებმა ანგარიშით 7:3.

ამრიგად, 8 დღის საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა. ამ შეჯიბრებებში უძლიერესები აღმოჩნდნენ მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდები, რომლებმაც 9-9 ქულით დასკვნით შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. მოსკოვის „ტორპედოს“ ბურთების უკეთესი შეფარდება აქვს, ამიტომ მან პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზეა თბილისის „დინამო“. ოთხოთხი ქულა მოაგროვეს ლვოვის, ტალინისა და ლენინგრადის „დინამოს“ გუნდებმა. ბურთების შეფარდებით მათ შორის ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: მესამე ადგილზე ლვოვის „დინამო“, მეოთხეზე — ტალინის „დინამო“, მეხუთეზე — ლენინგრადის „დინამო“. მინსკის ოფიცერთა სახლის გუნდს ფინალში არცერთი შეხვედრა არ მოუგია და მეექვსე ადგილზე გამოვიდა.

შეჯიბრება საზეიმოდ დაიხურა. გამარჯვებულებს გადაეცათ ჯილდოები.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ფართო მოხმარების საგრეწველო საქონლის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა ბაზაზე შექმნა სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და გადასცა მათ საწარმოები და ორგანიზაციები იმ სიის მიხედვით, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დამტკიცა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ მიიჩნია მოკავშირე რესპუბლიკებში ამავე სახელწოდებათა სამინისტროების შექმნა მოკავშირე რესპუბლიკათა ფართო მოხმარების საგრეწველო საქონლის სამინისტროების საწარმოებისა და ორგანიზაციების ბაზაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის მინისტრად დანიშნა ამხ. ნიკიტა სიმონის-ძე რიეთოი.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრად დაინიშნა ამხ. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე მ